პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და ხალამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 1[illegible] % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

[illegible] მარქსის სახ. საქ. ს. ს. რ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

დ ღ ი უ რ ი

- — გაზ. „ტრიბუნა“ იტალია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ.
- — ინგლისის მემაღაროები მოითხოვენ 7 საათიან სამუშაო დღის შემოღებას.
- — პოლონეთის მთავრობის პროტესტი ტრევირანუსის გამოსვლის წინააღმდეგ.
- — გერმანიის კომპარტიის საარჩევნო კამპანია წარმატებით ვითარდება.
- — დემონსტრაციები პრაღაში საბჭოთა კავშირის, პროფინტერნის V კონგრესის და ჩინეთის რევოლიუციის პატივსაცემად.

კვირა, 17 აგვისტო 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 192 (2840)

კოლმეურნეობათა მოსავლის განაწილება ყურადღების ცენტრში

მე-16 ყრილობამ ც. კ-ის ანგარიშის გამო მიღებულ რეზოლიუციაში სთქვა: „პარტიის მუშაობაში გარდამწყვეტი მნიშვნელობა ამჟამად ეძლევა კოლმეურნეობებში ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების ნებაყოფლობითი საფუძველზე შემდგომი ჩაბმის ამოცანას, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის პრობლემას, კოლმეურნეების შიგნით მოსავლის განაწილებას, წვრილ ბურჟუაზიულ მერყეობათა დაძლევას კოლმეურნეობის შიგნით, კოლმეურნეობათა ყოველმხრივ განმტკიცებას, როგორც სოციალისტური შეჯიბრების დასაყრდენ პუნქტებისა სოფლად“.

სრულიად სამართლიანად აღნიშნა ყრილობამ, რომ ამჟამად გარდამწყვეტი მნიშვნელობა საკოლმეურნეო მშენებლობაში აქვს მოსავლის განაწილებას. ამ საკითხს ამჟამად ეძლევა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. შემოსავლის განაწილებაზე ფიქრით ერთნაირად შეპყრობილია ამჟამად როგორც კოლმეურნე, ისე ინდივიდუალური მეურნე და კულაკი. ინდივიდუალური მეურნე გაფაციცებით ადევნებს თვალყურს თვითეულ სიტყვას, რაც კი ითქმება მოსავლის განაწილების შესახებ კოლმეურნეობაში. კულაკიც აგრეთვე დიდ ყურადღებას იჩენს ამ საკითხისადმი და ცდილობს დრო იხელთოს და მოხერხებულად გამოიყენოს ყოველი ჩვენი შეცდომა - მარცხი, ის ცდილობს გააძლიეროს ზოგიერთ მერყევ კოლმეურნეთა მერყეობა, ჩამოგვაშოროს საშუალო გლეხები, შიგნიდან ააფეთქოს კოლმეურნეობა.

მიუხედავად შემოსავლის განაწილების საკითხის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრს მიცემული აქვს ძირითადი დირექტივები (მაგ., საკოლმეურნეო ცენტრის დადგენილება მოსავლის განაწილების წესის შესახებ), ადგილებს ბევრგან ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ამოცანის მთელი მნიშვნელობა, საკმარისად არ გაუჩაღებიათ მასიური მუშაობა ამ საკითხის გარშემო. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორნაირ არანორმალურ მოვლენასთან. ერთის მხრით—ეს არის მემარჯვენე-ოპორტუნისტული შეხედულება, ყველაფრის თვითმიმდინარეობისათვის მინდობისა, თვითგაუქმება, განზე გადგომა — საკოლმეურნეო მასისათვის იმის დაკისრება, რომ პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე თვითონ გადასჭრას ურთულესი ამოცანები კოლმეურნეობის ცხოვრებაში, მოკლედ რომ ვთქვათ — ეს არის წმინდა წყლის მაჩანჩალობა და ლენინური - ბოლშევიკური ხელმძღვანელობის არასაკმარისად შეფასება და ყველაზე უფრო გარდამწყვეტ წუთში კოლმეურნეობის მიტოვება. მეორე მხრით ადგილი აქვს „მემარცხენე“ გადახვევათა რეციდივს, იმის ცდას, რომ ხელმძღვანელობა და დახმარება შესცვალოს ადმინისტრატიულმა დაწოლამ, რომ მხოლოდ ზევიდან მოხდეს მოსავლის განაწილების რეგლამენტაცია, მზამზარეული რეცეპტით იხელმძღვანელონ კოლმეურნეებმა, საკითხების გადაჭრა ხდებოდეს „აპარატის წესით“ და არ იქნას ამ საკითხების გარშემო დარაზმული კოლმეურნეთა ფართო მასები.

ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენ გადამჭრელი, დაუნდობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ორივე სახის დამახინჯებასთან — მემარჯვენე-უკლონისტურ თვითმიმდინარეობის განწყობილებასთან, რომელიც ჩქმალავს პარტიის ხელმძღვანელი როლის მნიშვნელობას, ცდილობს საკოლმეურნეო მშენებლობის უდიდესი მნიშვნელობის საკითხის გადაჭრაში მონაწილეობისაგან მასის ჩამოშორებას და—„მემარცხენე“ განწყობილებასთან, რომელიც აშორებს საკოლმეურნეო მასას, მოითხოვს მისი აქტივობის ლიკვიდაციას და ბიუროკრატიული წესით სწყვეტს ამ მასისათვის უცხოველესი მნიშვნელობის საკითხებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ მოსავლის განაწილების საკითხებს (ამ უდიდეს ამოცანას ამჟამად საკოლმეურნეო მშენებლობაში) და ჩააბან ამ მუშაობაში. კოლმეურნეობათა და სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკოლმეურნეო აქტივთან ერთად გულდასმით უნდა დაამუშაონ განაწილების საკითხი და უჯრედის პროექტი გამოიტანონ ფართოდ განსახილველად კოლმეურნეთა მასების კრებებზე. მოსავლის განაწილების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოსავლის არა მარტო ის რაოდენობა, რაც ნამდვილად მიღებულია, არამედ ის მოსალოდნელიც, რაც სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ იქნება შემოსული. კოლმეურნის ოჯახის ახლანდელი შემოსავლის გამოანგარიშების დროს აუცილებლად უნდა დამუშავდეს საკითხი, თუ რამდენი მიიღო კოლმეურნემ წარსულ წელს, როცა ის ინდივიდუალური მეურნე იყო, იმ ქონებიდან და მიწიდან, რომელიც მან ამ წელს შეიტანა კოლმეურნეობაში. ასეთი მუშაობის ჩატარება დიდ სარგებლობას მოგვცემს, ვინაიდან ის ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად უფრო ნაყოფიერია საკოლმეურნეო შრომა და რამდენად ხელსაყრელია ღარიბისა და საშუალო გლეხობისათვის კოლმეურნეობაში ყოფნა. ჩვენს გაზეთში დღეს მოთავსებული მასალა ამას ნათლად ამტკიცებს. რა იქნება იმაზე უფრო დამარწმუნებელი და დამაჯერებელი, რასაც იძლევა შეუძლო გლეხების (უკრაინა) კოლმეურნეობის შემოსავლიანობის ციფრები? მაგ., მოჯამაგირე ხალახლოვმა მიიღო ფულად 500 მანეთამდე და წლიური საზრდო, ღარიბმა მოსიუტკინმა — 1.031 მ. 19 კაპ. ნაღდ ფულად (რაშიაც არ შედის ნატურად მიღებული), წარსულ წელს კი—90 მან. 20 კ., საშუალო გლეხმა გარნუმა—754 მ. 80 კაპ. (და ნატურითაც), ნაცვლად 98 მან. 50 კაპეიკისა, რაც მან მიიღო გასულ წელს.

ადგილებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ პარტია გადაჭრით იმ აზრისაა, რომ კოლმეურნეობის შემოსავალი განაწილებულ უნდა იქნას დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, ვინაიდან ეს სისტემა ყველაზე უფრო პროგრესიული სისტემაა, ის უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ მჭამელთა რიცხვის მიხედვით განაწილების სისტემას, აგრეთვე იმის ცდას, რომ შემოსავალი განაწილებულ იქნას მიწისა და შემოტანილი ქონების რაოდენობის მიხედვით. მაგრამ ამ გადაჭრით ბრძოლას არაფერი აქვს საერთო ადმინისტრატიულ ბრძანებასთან. ჩვენ უნდა შევძლოთ მთელი ჩვენი ახსნა - განმარტებითი მასიური მუშაობით იმის მიღწევა, რომ კოლმეურნეებმა უპირატესობა მისცენ სწორედ შრომითი სისტემას, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ და დავანახვოთ ამ სისტემის უპირატესობა.

ადგილებმა უნდა გაითვალისწინონ და სათანადო ზომებიც უნდა მიიღონ „მომხმარებლურ“ განწყობილებათა წინააღმდეგ. შეეცდებიან გვერდი აუქციონ სასოფლო-სამეურნეო არტელის მე-11 პუნქტს განუყოფელ და საზოგადოებრივ ფონდში თანხის შეტანის შესახებ (10 და 5 პრ.). როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ზოგიერთი კოლმეურნეობები ფიქრობენ საზოგადოებრივ ფონდში გადარიცხონ 5 პროცენტზე მეტი და ამის მიხედვით შეამცირონ განუყოფელ კაპიტალში გადარიცხვის წილი, ან კიდევ შეამცირონ ის ფონდი, საიდანაც კოლმეურნეებს ეძლევა ხელფასი შრომა - დღეებისათვის. ეს მეტისმეტად მავნე ტენდენციებია. განუყოფელ კაპიტალში შესატანის შემცირებით კოლმეურნეები გაქრობისა და გაპარტახების საფრთხეში ჩააყენებენ კოლმეურნეობებს. ჯერ კიდევ ფეხმოუმაგრებელი კოლმეურნეობის ზომაზე მეტად დატვირთვა საზოგადოებრივ ფონდში გადასარიცხის გადიდებით ნიშნავს იმას, რომ შემცირდება ის ნაწილი, რაც ხელზე უნდა მიეცეს კოლმეურნეს მისი შრომისათვის, ხოლო, მეორე მხრით, ეს ნიშნავს სოციალური უზრუნველყოფის განწყობილებათა დანერგვას და გაძლიერებას. მრავალსარჩენიან ოჯახის შესახებ საკითხის საბოლოოდ გადაჭრას კოლმეურნეობა ერთი წლის განმავლობაში ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებს. ამ საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია კოლმეურნეობათა სამეურნეო ზრდაზე. ჯერჯერობით კი კოლმეურნეობა აკეთებს იმას, რაც მას შეუძლია — სწრაფად ადიდებს კოლმეურნის ოჯახის შემოსავლიანობას და რამდენამე დახმარებას უწევს სარჩენ პირებსა და ბავშებს საზოგადოებრივ ფონდიდან.

ადგილებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ 5 პროცენტიანი ფონდის აუცილებელ გამოყოფას, კოლმეურნეთა შორის ამ თანხის გასანაწილებლად მათ მიერ შემოტანილი ქონების რაოდენობის მიხედვით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში უკვე გაერთიანებულ საშუალო გლეხკაცობის რწმენის განსამტკიცებლად კოლექტივიზაციის სასარგებლოდ და ახალ საკოლმეურნეო ტალღის მოსამზადებლად. კულაკი აშინებდა საშუალო გლეხს: „ვერაფერს მიიღებ, რამდენიც არ უნდა შეიტანო. ამიტომ იმდენად უკეთესია, რამდენადაც ნაკლებს შეიტან განსაზოგადოებულ ფონდში“-ო. 5 პროცენტიანი ფონდის სავალდებულო გამოყოფა და მისი დროზე განაწილება ნიადაგს გამოაცლის კლასობრივი მტრის პროვოკაციას. 5 პროცენტიანი ფონდის განაწილების დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნან უყურადღებოდ მიტოვებული, როგორც ამას ჩადიან ზოგიერთ ადგილას, მოჯამაგირე და ღარიბი გლეხები. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მოჯამაგირისა და ღარიბი გლეხისათვის შეტანილია პაი ჩამორთმეული კულაკურ ქონების ღირებულების ანგარიშზე, მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხებს 5 პროცენტიან ფონდიდან ეძლევათ სათანადო წილი.

რა თქმა უნდა, კოლმეურნეობებმა მაგალითი უნდა მისცენ სხვებს ნორმების დაჩქარებით და დროზე ჩაბარების მხრივ. თვითეული კოლმეურნე სრული ბატონ-პატრონია იმ ზედმეტი საქონლისა, რაც დარჩება სახელმწიფოსათვის და კოლმეურნეობის გადაუდებელ საჭიროებათათვის გადარიცხვის შემდეგ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორიდან შევყურებდეთ და განურჩეველი დამოკიდებულებას ვიჩენდეთ იმისადმი, თუ ვის მიჰყიდის ამ ზედმეტს საშუალო გლეხი: კულაკს — შემსყიდველს, რომლის პოზიციაც, როგორც კლასობრივი მტრისა, ამით გაძლიერდება, თუ ის ამ ზედმეტს ჩააბარებს პროლეტარულ სახელმწიფოს, რომელიც მას ეხმარება, რომ რაც შეიძლება მალე თავი დააღწიოს სიღარიბესა და განადგურებას. კოლმეურნესათვის არჩევანი არ არსებობს. მისი ერთად-ერთი გზაა —მუშათა კლასთან, პროლეტარულ სახელმწიფოსთან ერთად ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ.

შემოსავლის წესიერი განაწილება მოითხოვს ზუსტ ანგარიშწარმოებას. თვითეული შეცდომა ციფრობრივ მასალაში დიდად შეუშლის ხელს და დააბრკოლებს საკოლმეურნეო მშენებლობას. ცუდ შედეგს გამოიღებს შეცდომა, თუ ის შეეხება დახარჯული შრომის რაოდენობასა და თვისებას, შემოსავლის გამოანგარიშებას, ტარიფიკაციას და სხვ. ყველასათვის ცნობილია, რომ ანგარიშწარმოება კოლმეურნეობებში მეტად მოიკოჭლებს, რასაც შეუძლია დიდი უსიამოვნება და გართულება შექმნას მოსავლის განაწილების დროს. ამიტომ კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ წამოყენებულ საკითხს — არა ნაკლებ 100 ბუხჰალტერისა და მოანგარიშის მობილიზაციის შესახებ კოლმეურნეობებში ანგარიშწარმოების საქმის მოსაწესრიგებლად, მეტად მწვავე საჭირბოროტო და უთუოდ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ საქმის გადადება არც ერთი წუთითაც არ შეიძლება, მით უფრო, რომ 100 კაცი ანგარიშწარმოებისათვის 2.000 კოლექტივში ისედაც არასაკმაო რაოდენობად უნდა ჩაითვალოს.

ამიტომ გადაჭრით უნდა შევუტიოთ დაწესებულებებში მოკალათებულ იმ ვიწრო „მოსაქმეებსა“ და ბიუროკრატებს, რომლებიც ვერ აფასებენ კოლმეურნეობათა შემოსავლის განაწილების მნიშვნელობას და ყოველნაირად ხელს უშლიან საფინანსო და საანგარიშო დარგის მომუშავეთა მობილიზაციას. საანგარიშო დარგის მუშაკები უნდა გაიმვლის განაწილების მნიშვნელობას ბით. კოლმეურნეობებში გაგზავნილთა ნაცვლად, მათ უნდა შესძლონ მუშაობის ისე წარმოება, რომ საქმე ამით არ შეფერხდეს.

კოლმეურნეობებში მოსავლის მიღების განაწილება — ეს მორიგი მწვავე პოლიტიკური ამოცანაა. მისი გადაჭრა მოითხოვს ყველა პარტორგანიზაციების მიერ უდიდესი ყურადღებისა და ხელმძღვანელობის გამოჩენას, მთელი პროლეტარული საზოგადოებრივობის დახმარებას. ამ საკითხის ხეირიანად გადაჭრა გამანადგურებელი თავზარის დაცემა იქნება კულაკობისა და მისი მემარჯვენე-ოპორტუნისტული აგენტურისათვის, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება კოლმეურნეობათა შიგნით წვრილ ბურჟუაზიულ მერყეობათა დაძლევისათვის, კოლმეურნეობათა ყოველნაირად განმტკიცებისათვის, ეს გამოიწვევს მოჯამაგირე-ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების ახალ ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ და მოგვაახლოებს ჩვენ მე-16 ყრილობის მიერ დასახული ამოცანის გადაჭრასთან — გადავაქციოთ საბჭოთა კავშირი მთლიანი კოლექტივიზაციის ქვეყნად.

ქაბულიდან მიღებული ცნობით, აფრიდიებმა პეშავარი აიღეს

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“ მოითხოვს გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებას

იტალიის მუშების გმირული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ

ხმები პეშავარის აღების შესახებ

ხმები პეშავარის აღების შესახებ

ქაბული, 15 აგვისტო. ხმებია, რომ ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის პროვინციის მთავარი ქალაქი პეშევარი აიღეს აფრიდიებმა.

ინდოეთის საზღვრიდან ჩამოსულები იუწყებიან, რომ 10 აგვისტოს პეშევარის გარეუბნებში დიდი ბრძოლა სწარმოებდა (ადს).

მდგომარეობა სერიოზულია

ლონდონი, 16 აგვისტო. ინდოეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ-დასავლეთ სანაპირო პროვინციაში მდგომარეობა კვლავინდებურად გართულებულია და გრძელდება ჯარების გაგზავნა აჯანყების რაიონში. აფრიდიები ძალებს აგროვებენ გონანდებსა და სხვა ტომებს შორის. სარკინიგზო მიმოსვლა სწარმოებს ჯავშნიანი მატარებლებისა და ჯავშნიანი ავტომობილების დახმარებით. აფრიდიები მოქმედობენ ნაციონალურ კონგრესთან თანხმობით, თუმცა კონგრესი არ იწონებს იმ მეთოდებს, რომელსაც აჯანყებული ტომი მიმართავს. აფრიდიები, სხვათა შორის, მოითხოვენ განდის განთავისუფლებას.

მუქარის წერილები

ლონდონი, 16 აგვისტო. ბენგალიის, გაერთიანებული პროვინციების და პენჯაბის პოლიციის და სასამართლოს უმაღლესმა თანამდებობის პირებმა სიკვდილით მუქარის წერილები მიიღეს „ინდუსტანი სოციალისტური რესპუბლიკანური არმიის“ სახელით (ადს).

მოლაპარაკება კონგრესის ლიდერებს შორის

ლონდონი, 16 აგვისტო. ინდოეთიდან მიღებული ცნობებით, მოლაპარაკება ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ლიდერებს შორის ამჟამად სწარმოებს პუნის საპყრობილეში, სადაც ყოველდღე იმართება სხდომები 3-დან 5 საათამდე.

გაზეთები პესიმისტურად აფასებენ მოლაპარაკების პერსპექტივებს.

ნაციონალური კონგრესის სამხედრო საბჭომ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც აცხადებს, რომ მასები არ დასთანხმდებიან თავისი მოქმედების არავითარ შეზღუდვაზე (ადს).

ურჩობის კამპანიასთან საბრძოლველად

ლონდონი, 16 აგვისტო. ინდოეთიდან მიღებული ცნობით, საკანონმდებლო კრებაში შეტანილ იქნა წინადადება — დამატებითი თანხების გადადების შესახებ ურჩობის კამპანიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამ წინადადებამ მკაცრი წინააღმდეგობა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ სხდომას არ დასწრებიან ინდოეთის ნაციონალური კონგრესის წარმომადგენლები, წინადადება გავიდა მხოლოდ 2 ხმის უმრავლესობით (ადს).

მილანის მუშების გმირული ბრძოლა

შეტაკებები ფერარაში. — დამსჯელი ექსპედიცია მილანის მუშების წინააღმდეგ

პარიზი, 15 აგვისტო. „ლიუმანიტე“ იუწყება, რომ ფერარაში (ჩრდილოეთ იტალია) **უმუშევრებმა აიღეს პრეფექტურის შენობა და მკაცრი ბრძოლა გაუმართეს ჟანდარმებს. უმუშევრებმა მოიგერიეს პოლიციის იერიშები. შეტაკების დროს ბევრია მოკლული, მათ შორის პოლიციის უფროსი.**

მილანში ერთ-ერთი ფაშისტის „შეურაცყოფის“ გამო, **გაგზავნეს დამსჯელი ექსპედიცია. მილანის გარეუბანში სერიოზული შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და რევოლიუციონურ მუშებს შორის. მოკლულია ერთი მილიციონერი-ფაშისტი** (ადს).

საარჩევნო კამპანია გერმანიაში

კომპარტიის საარჩევნო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს

ბერლინი, 15 აგვისტო. გერმანიის **კომპარტიის საარჩევნო კამპანია,** რომელიც დაკავშირებულია ახალი წევრების მიღებასთან პარტიაში და თანხების შეგროვებასთან საარჩევნო კამპანიისათვის, **მთელს გერმანიაში მეტად წარმატებით მიმდინარეობს.**

ივლისის განმავლობაში, **მარტო საქსონიაში, პარტიაში შევიდა ათასამდე მუშა.**

პოლიცია ყოველმხრივ სცდილობს ჩაშალოს კომუნისტური საარჩევნო აგიტაცია. ბერლინში დააპატიმრეს 9 მუშა, რომლებიც კომუნისტურ პლაკატებს აკრავდნენ ქუჩებში (ადს).

ფაშისტების თავდასხმა

ბერლინი, 15 აგვისტო. მიუნხენში **ფაშისტებმა ჩაშალეს სახელმწიფო პარტიის დიდი საარჩევნო კრება. შეტაკების შედეგად ბევრია დაჭრილი (ადს).**

სოციალ - ფაშისტების უტიფარი ჭორი

ბერლინი, 15 აგვისტო. საარჩევნო ბრძოლაში სოციალ-დემოკრატები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. სოციალ-დემოკრატებმა გამოუშვეს ფურცლები, სადაც უტიფრად ამბობენ, ვითომც საბჭოთა კავშირში 3.000.000 უმუშევარი იყვეს. ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში ნამდვილად სულ არის 600.000 უმუშევარი და შარშანდელთან შედარებით უმუშევართა რიცხვი ერთი მილიონით შემცირდა.

კენისბერგში სოც.-დემოკრატების ამ ჭორით აღელვებულმა უმუშევრებმა, ეს ფურცლები შეაგროვეს და დემონსტრატიულად დასწვეს შრომის ბირჟის შენობის წინ. (ადს).

ლედებურგი მოუწოდებს მუშებს ხმა მისცენ კომპარტიას

ბერლინი, 15 აგვისტო. გერმანიის მუშათა მოძრაობის ერთმა უძველესმა მონაწილემ, სოციალისტურ კავშირის თავმჯდომარემ **გეორგ ლედებურგმა გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიც კლასობრივად შეგნებულ ყველა მუშებს მოუწოდებს რეიხსტაგის არჩევნების დროს, ხმა მისცენ კომპარტიის სიას (ადს).**

კომპარტიის გამარჯვება

ბერლინი, 15 აგვისტო. ლეინში და დიერნბერგში **მუნიციპალური არჩევნების დროს კომპარტიამ მიიღო 680 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა მხოლოდ 598.** წინანდელი არჩევნების დროს ს.-დ. მიიღეს 788 ხმა. **კომპარტიის ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს — ლეინისა და დიერნბერგის მოსახლეობა უმთავრესად ლეინის ქიმიური ტრესტის მუშებისაგან შესდგება (ადს).**

უმუშევრობის ზრდა

ბერლინი, 15 აგვისტო. გამოქვეყნდა ახალი ცნობები უმუშევრობის შესახებ. მარტო **ბერლინში 1929 წ. დეკემბრიდან 1930 წ. ივლისის დამლევამდე უმუშევართა რიცხვი 43 პროცენტით გაიზარდა (ადს).**

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

კემბელი საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა ამერიკელმა მსხვილმა ფერმერმა კემპბელმა პრესის საშუალებით ამერიკელ 9 საქმიან წრეებს მიმართა წინადადებით—საბჭოთა ბაზარი გამოიყენონ ეკონომიურ კრიზისის დასაძლევად.

„თუ შეერთებული შტატები ასე არ მოიქცევა,—სწერს ის,—ამას სხვა ქვეყნები იზამენ.“ კემპბელი ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი ამერიკულ საქონლისათვის მსოფლიოში უდიდესი ბაზარია.

როცა კემპბელი ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის გეგმების გადაჭარბებით შესრულებაზე ლაპარაკობს, ამბობს, რომ „უეჭველია, საბჭოთა კავშირის ეკონომიური პროგრამა წარმატებით იქნება შესრულებული“ (ადს).

„ტრიბუნა“ იტალია - საბჭოთა შეთანხმების შესახებ

რომი, 15 აგვისტო. გაზ. „ტრიბუნა“ უპასუხებს რა საფრანგეთის პრესის გამოსვლებზე იტალია-საბჭოთა შეთანხმების წინააღმდეგ, სწერს, რომ იტალიას საერთო არაფერი აქვს ანტისაბჭოთა ისტერიკასთან და უგნურებათ სთვლის სურვილს, რომ რუსეთი, თუნდაც დროებით, გამოთიშული იქნას ევროპის პოლიტიკიდან. იტალია ყურადღებას არ აქცევს სასაცილო არაკებს, რომლებიც სურთ საბაბათ გამოიყენონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბლოკის შესაქმნელად.

ამ არაკების შემთხზველნი, იძულებულნი არიან სისტემატიურად თითონვე უარჰყონ ისინი. „ტრიბუნა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიამ საბჭოთა კავშირთან დამყარა საერთაშორისო ხასიათის ნორმალური ურთიერთობა და არ ეხება საბჭ. კავშირის საშინაო პოლიტიკას (ადს).

ტრევირანიუსის სიტყვის გამოძახილი

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ის წერილი

ბერლინი, 15 აგვისტო. „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“ მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში დადებული ხელშეკრულებები კვლავ აქტუალურ ხასიათს აძლევენ საბჭოთა კავშირს გასაღების ბაზრად გამოყენების საკითხს.

გაზეთის სიტყვით, გერმანიას საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში მეტად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს იტალიასთან შედარებით, სადაც საბჭოთა კავშირი იძენს 750 მილიონი ლირის საქონელს, ამერიკაში კი—40 მილიონი დოლარისას. „ამიტომ გერმანიის პოლიტიკის არსებითი ამოცანას,—დაასკვნის გაზეთი,—წარმოადგენს—არ დაჰკარგოს მოპოვებული კავშირი და არ დასთმოს შეძენილი ადგილი. ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ **საბჭოთა კავშირი ყველა ზომებს იღებს, რათა შექმნას საკუთარი მრეწველობა**“. (ადს).

კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე

ინგლისი

მოითხოვენ 7 საათიან სამუშაო დღის შემოღებას

ლონდონი, 15 აგვისტო. იორკშირის მემაღაროეთა კონფერენციამ **მოსთხოვა მაკდონალდის მთავრობას** მისი საარჩევნო დაპირებების შესრულება—**7 საათიანი სამუშაო დღის შემოღება.** კუკი, რომელიც დაესწრო კონფერენციას, **ენერგიულად იცავდა მთავრობას და აკრიტიკებდა რეზოლიუციას.** მიუხედავად ამისა, **კონფერენციამ რეზოლიუცია ერთხმად მიიღო** (ადს).

ავსტრალია

მემაღაროეთა ხელფასის შემცირება

ლონდონი, 15 აგვისტო. ავსტრალიის ფედერალურმა საარბიტრაჟო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება მემაღაროეთა ხელფასის საერთო დაკლების შესახებ: 12 ნახ. პროცენტით ნარდათ მუშაობის დროს და 3 პენსით საათობით მუშაობის დროს. (ადს).

საბერძნეთი

ლოკაუტზე გაფიცვით უპასუხეს

ათინა, 15 აგვისტო. კავალის თამბაქოს ფაბრიკებმა და მაკედონიის მეთამბაქოეთა ასოციაციამ ლოკაუტი გამოაცხადეს ხელფასის დაკლების მიზნით. მეთამბაქოებმა ლოკაუტზე უპასუხეს გაფიცვით (ადს).

გერმანია

მუშები უარს ამბობენ გადასახადის გადახდაზე

ბერლინი, 15 აგვისტო. კომუნისტური პარტია მთელს გერმანიაში ატარებს ფართო საპროტესტო კამპანიას ბრიუნინგის დიქტატორულ მთავრობის მიერ შემოღებულ ახალ გადასახადების წინააღმდეგ. იესკაუში გაიმართა მშრომელების მასიური კრებები, რომლებზედაც გამოტანილ იქნა დადგენილებები — უარი სთქვან გადასახადების გადახდაზე. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს მშრომელებმა პინებურგში და ქიმიურ ქარხნების მუშებმა ლეინში (ადს).

საფრანგეთი

გაფიცვის ტალღა

პარიზი, 15 აგვისტო. ჩრდილოეთ საფრანგეთის ქვა-ნახშირის რაიონებიდან მიღებული ცნობების მიხედვით, სამთამადნო მუშათა **უნიტარულმა პროფკავშირმა მემაღაროეთა შორის ფართოდ გაშალა აგიტაცია სოციალურ დაზღვევის კანონის წინააღმდეგ გამართულ გაფიცვისათვის მზადების დასაჭერად.** მემაღაროეთა პროფკავშირმა წამოაყენა ლოზუნგები: ხელფასის გადიდება დღეში 5 ფრანკით, ფასიან შვებულებების შემოღება და სოციალურ დაზღვევისათვის ანარიცხების ხელფასიდან გამორიცხვის გაუქმება.

გაფიცულები ციხეში

პარიზი, 15 აგვისტო. ლილში 10 გაფიცულს მიუსაჯეს საერთოდ 9 თვის ციხე. მათ ბრალდება ხელისუფლების შეურაცყოფა და წინააღმდეგობის გაწევა და „შრომის თავისუფლების დარღვევა“ (ესე იგი შტრეიკბრეხერობასთან“ ბრძოლა).

ქალაქ ფიომზონვილში გაიფიცა 2,000 მელითონე, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას და სოციალურ დაზღვევისათვის ხელფასიდან თანხების დაჭერის გაუქმებას. მილოში ტყავის დამმუშავებელი 4 000 მუშის გაფიცვა გრძელდება. ვიერზონში მეოთხე თვეა გაფიცულია კირამიკის წარმოების 3.000 მუშა.

სამხედრო-საჰაერო მანევრები ინგლისში

საბჭოთა კავშირზე თავდასხმის რეპეტიცია

ლონდონი, 15 აგვისტო. პრესა ფართოდ აშუქებს ბრიტანეთის სამხედრო - საჰაერო ძალების მანევრებს დაბა კარანგუდში, რომელიც „წითელ კოლონიას“ გამოსახავს. მანევრებს იყენებენ ფართო სამხედრო პროპაგანდისათვის. რეაქციონური გაზეთები ცნობებს მანევრების შესახებ ათავსებენ ასეთი სათაურებით: „წითელ დედაქალაქს ყუმბარები დაუშინეს“.

კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერი“ ამ მანევრების გამო აყენებს კითხვას: „ასეთ ნაირად და ასეთ პირობებში სად გაატარებს ინგლისი საჰაერო ძალების ამგვარ ფართო ოპერაციებს? — მხოლოდ ინდოეთის ჩრდილოეთ - დასავლეთის საზღვრებზე და საბჭოთა კავშირში — ბაქოს რაიონში“.

პროფინტერნის V კონგრესი

კონგრესის გახსნა

მოსკოვი, 16 აგვისტო. გაიხსნა პროფინტერნის მე-5 კონგრესი. პროფინტერნის გენერალურმა მდივანმა ამხ. **ლოზოვსკიმ** შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ პროფინტერნის კონგრესი საერთაშორისო მდგომარეობის რთულ პირობებში შეიკრიბა.

— ათი წლის წინად, როცა პროფინტერნს საძირკველი ჩაეყარა, — სთქვა ამხ. ლოზოვსკიმ, — კაპიტალისტური მსოფლიო ომის შემდგომი ხელოვნური ხანმოკლე აყვავების შემდეგ შევიდა სასტიკ ეკონომიურ კრიზისის პერიოდში, რომელშიც ამჟამადაც იმყოფება. ჩვენი კონგრესის ცენტრალური საკითხი იქნება პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლების ორგანიზაციის საკითხი. კონგრესზე უნდა შევისწავლოთ და სერიოზულად განვიხილოთ საკითხი იმისი, თუ როგორ მოვაწყოთ მუშათა კლასის კონტრშეტევა.

პრეზიდიუმი

ამხ. ლოზოვსკის შესავალ სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი — 41 კაცის და სამდივნო — 10 კაცის შემადგენლობით.

პრეზიდიუმში შევიდნენ: ამხ. **ლოზოვსკი, შვერნიკი, პიატნიცკი** (საბჭ. კავშირი), **გეკკერი** (გერმანია), **მონმუსო** (საფრანგეთი), **ტომ მანი** (ინგლისი) და სხვ.

მისალმებები კონგრესს

კონგრესს მიესალმნენ ამხ. **კუუსინენი** (კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომი).

მხურვალე ტაშით შეხვდნენ წითელ ფლოტის წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა კონგრესს, რომ საბჭოთა კავშირის წითელფლოტელები, მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატის ერთგული შვილები, მუდამ მზად არიან დაიცვან პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვარი.

კონგრესს აგრეთვე მიესალმნენ საბჭოთა კავშირის ქარხნების დელეგატები (ადს).

ავსტრიის „როტე ფანე“ კონგრესის შესახებ

ვენა, 15 აგვისტო. მოსკოვში პროფინტერნის მეხუთე კონგრესის გახსნასთან დაკავშირებით კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ სწერს, რომ იმ დროს, როცა სტოკჰოლმში თათბირობდნენ პროფბიუროკრატები, მინისტრები და ერთა ლიგის სტატისტები, მოსკოვში შეიკრიბნენ ფართო მასების მიერ არჩეული მუშები, მებრძოლ პროლეტარიატის ნამდვილი წარმომადგენლები. ამსტერდამელები,— სწერს გაზეთი, — კაპიტალიზმის ხსნას მსოფლიო კრიზისისაგან მუშათა მასების ხარჯზე აპირებენ და საბჭოთა კავშირის ძაგებაში არიან. კომინტერნის კონგრესი კი, ყველა ამის წინააღმდეგ, ბრძოლის საშუალებებს იმუშავებს და პროლეტარიატს უჩვენებს კაპიტალიზმთან ბრძოლის გზებს (ადს).

ბრძოლა ორ ფრონტზე

„პარტიამ, რომელიც მტკიცედ ატარებდა თავის გენერალურ ხაზს, რომელიც დაუნდობელ და გადამჭრელ ბრძოლას აწარმოებდა ორ ფრონტზე—ტროცკიზმისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ და მემარჯვენე გადახრის, როგორც ამ ეტაპზე მთავარი საფრთხის, და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ,— სოციალისტური მშენებლობის უდიდეს წარმატებებს მიაღწია“. პარტიის მე-16 ყრილობამ ამ ფორმულაში შეაჯამა ჩვენი პარტიის ბოლშევიკური ბრძოლის შედეგები, რომელიც ხდებოდა დროის საგრძნობი პერიოდის განმავლობაში, როცა პარტიის გენერალურ ხაზს ცხარედ თავს ესხმოდა ტროცკისტების „გაერთიანებული ოპოზიცია“, ხოლო შემდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტები და ყოველი ჯურის შემარიგებელი ელემენტები. მთელ რიგ შემთხვევებში, ისინი, ვინც იბრძოდნენ პარტიული ხაზის წინააღმდეგ, ვინც გვეფიცებოდნენ ამ ხაზისადმი ერთგულებაში და სწორად აღიარებდნენ მას, გვერდს უვლიან საკითხს იმის შესახებ, რომ პარტიამ წარმატებებს მიაღწია ყოველი ჯურის ოპორტუნისტებთან ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ ტროცკისტები და მემარჯვენეები სულ წინააღმდეგს წინასწარმეტყველებდნენ. ამავე დროს კი საკმარისია მოკლედ თვალი გადავავლოთ პარტიის მიერ განვლილ გზას, რომ დავინახოთ, თუ რა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ეს ოპორტუნისტები მათ მიერ ამჟამად უკვე სწორად აღიარებულ პარტიის ხაზს. ამასთან ერთად მთელ რიგ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტებით დამტკიცდა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდნენ პროლეტარული დიქტატურისათვის, პროლეტარული და სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის ეს ოპორტუნისტული მიმდინარეობანი, რა საფრთხეს წარმოადგენენ ოპორტუნისტები ჯერ კიდევ დღესაც. ოპორტუნიზმთან და მის ყოველგვარ გამოხატულებასთან გადამჭრელი ბრძოლა აუცილებელ სავალდებულო პირობას წარმოადგენს ჩვენში ხუთწლედის შესრულებისათვის და აუცილებელ პირობას სოციალიზმის გზით შემდგომი წარმატებით წინსვლისათვის.

მე-16 ყრილობამ, რომელმაც ანგარიში გაუწია იმას, რომ „პარტიაში მაინც ადგილი აქვს ტროცკიზმისადმი შემარიგებელ განწყობილებებს, რაც, პირველ ყოვლისა, გამოიხატება მუშათა კლასისა და გლეხკაცობის კავშირის მნიშვნელობის არასაკმარისად შეფასებაში“, მოგვცა დირექტივა— „რაც შეიძლება გადამჭრელი ბრძოლა გვეწარმოებია ამ განწყობილებათა წინააღმდეგ“.

ამასთან ერთად ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კაპიტალისტურ ელემენტებზე მთელი ფრონტით გაშლილი შეტევის პერიოდში მემარჯვენე გადახრა იყო და რჩება უმთავრეს საფრთხედ პარტიისათვის“.

„მემარჯვენე უკლონისტების ხაზს მივყავართ ქვეყნის კულაკურ - კაპიტალისტურ ელემენტების წინაშე ქედის მოხრამდე. მემარჯვენე უკლონისტების ხაზის განხორციელება, რომლებიც ობიექტიურად კულაკების აგენტურას წარმოადგენენ, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ჩაიშალოს სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში“.

ძნელად თუ მოიპოვება პარტიაში უჯრედი, რომელსაც არ ემუშაოს ამ დადგენილებათა გარშემო. მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა, რომ ჯერ კიდევ არაა მთელი პარტია დარაზმული საბრძოლველად ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. სახიფათო იქნებოდა ყურადღება არ მიგვექცია ოპორტუნიზმის გამომჟღავნების მრავალრიცხოვან შემთხვევებისათვის, ყურადღება არ მიგვექცია სოციალისტური მშენებლობაზე უსასტიკესი თავდასხმებისათვის, ამ მშენებლობის წარმატებათა მიჩქმალვისათვის აქა-იქ და ამ წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების გზაზე წამოჭრილ პირდაპირ საფრთხისათვის.

აი, რატომაა, რომ „პრავდა“ დაუცხრომლად განგაშს სტეხს ასეთი ფაქტებისა და შემთხვევების გამო. საკმარისი არაა პარტიის კრებაზე ხმა მისცე ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებას. არაა საკმარისი ეფიცებოდე პარტიას ერთგულებაში მის გენერალურ ხაზისადმი. საკმარისი არაა განაცხადო, რომ მზად ხარ ბრძოლისათვის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ბრძოლისათვის ორ ფრონტზე. პარტია მოითხოვს, რომ ასეთი ბრძოლა ნამდვილად იქნას წარმოებული. პარტია მოითხოვს გადაჭრით ლიკვიდაციას ჩამორჩენილობისა, რაც უნდა ჩაითვალოს მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკის შედეგად.

ავიღოთ უკანასკნელი დროის უფრო ცოცხალი ფაქტები: ცალკე ჩამორჩენილობანი მრეწველობაში, მომარაგებაში, პურის დამზადების გაშლა-გაფართოებაში და ტრანსპორტზე. რას ვხედავთ ჩვენ ამ დარგებში? მრავალ ორგანიზაციებში ადგილი აქვს სადემობილიზაციო განწყობილებას.

საყურადღებო კამპანიების ხელმძღვანელობა ადგილებზე შესუსტებულია, გეზი „თვითმიმდინარეობაზე“ სცვლის კამპანიის მსვლელობაში ორგანიზაციულ ენერგიულ ჩარევას, ც. კ-ის დირექტივები დროზე არ აღწევს ქვედა საფეხურის ორგანიზაციებამდე, მხედველობიდან უშვებენ ტემპებს, იკარგება დრო.

ჩვენ სერიოზულ ჩამორჩენილობასთან გვაქვს საქმე ტრანსპორტზე. ვერც ერთი პარტიული, ვერც ერთი პროფკავშირული ორგანიზაცია ვერ დაწყნარდება მანამდე, ვიდრე ამ ჩამორჩენილობებს ბოლო არ მოეღება. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არ არსებობს არავითარი „ობიექტიური პირობები“, რაზედაც ასე სიამოვნებით და ხშირად მიუთითებენ ოპორტუნისტები, არ არსებობს ისეთი გარდაუვალი პირობები, რომლებითაც შეიძლებოდეს ამ უსაშიშროესი ჩამორჩენილობათა გამართლება, რომელთა გამო ხდება მოსახლეობის საკვებით და მშენებლობის მასალებით მომარაგების დეზორგანიზაცია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ამჟამად ვდგევართ უფრო ძნელ და რთულ საშემოდგომო გადაზიდვათა წინაშე, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უფრო რთულ პირობებშიაც ქვეყანა ახერხებდა ასეთ სიძნელეთა დაძლევას.

ამ წლის კარგი მოსავალი საშუალებას იძლევა უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ ჩავატაროთ პურის დამზადების გეგმის შესრულება. ის, რომ ამ წელიწადში ჩვენ პირველად გვაქვს საქმე სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის სწრაფ ზრდასთან, იმის მომასწავებელია, რომ ამ წლის მოსავალი ჩვენ უდიდეს უპირატესობას გვაძლევს. ამავე დროს კი ყოველი ჯურის ოპორტუნისტებს იმედი აქვთ „თვითმიმდინარეობის“ პროცესისა, რომ აქა-იქ უკვე აყენებენ კიდეც საკითხს: „იქნება თუ არა ამ წელიწადში პური დამზადებული?“ „ტემპის შენელება კამპანიის ჯამლაში და დაგვიანება ახასიათებს მთელ რიგ ორგანიზაციათა მუშაობას პურის დამზადებაში. აქამდე ჯერ კიდევ ყოველგან არ არის შესრულებული ც. კ-ის დირექტივა—„დროზე იქნას მიყვანილი პურის დამზადების გეგმა სოფლამდე და კოლმეურნეობამდე“. სრულიად ნათელია, რომ ასეთი დაყოვნება, ასეთი დაგვიანება და ასეთი ოპორტუნისტული გეზი „თვითმიმდინარეობაზე“ ხელსაყრელია კულაკისა და სპეკულიანტისათვის. ის შლის მთელს გეგმას და ქმნის მთელ რიგ დამატებით დაბრკოლებებს.

მუშათა მომარაგების საკითხი საერთოდ შეადგენს ერთ უმთავრეს რგოლთაგანს იმ ღონისძიებათა ჯგუფში, რომლებიც დასახულია რეალური შრომის ხელფასის ასაწევად. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ მუშათა მომარაგების დარგში ჯერაც, წინააღმდეგ პარტიის ყველა დადგენილებებისა, ჩვენ სერიოზულ ნაკლოვანებებთან გვაქვს საქმე?

თევზის ჭერის გაზაფხულის სეზონი არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა. წინა წლების მუშაობის ოპორტუნისტულმა მეთოდებმა, როცა კერძო მწარმოებელი ითვისებდა დაჭერილი თევზის უდიდეს ნაწილს, თავისი დაღი დაასვეს თევზის დამამზადებელ ორგანიზაციების მუშაობას. აი ახლა იწყება თევზის ჭერის შემოდგომის სეზონი და ჩვენ სიგნალს ვიძლევით ამ თევზის ჭერის სეზონის პირველ დეკადებში აღმოჩენილ უსაშიშროეს ნიშნების გამო. ჩვენ უნდა მივაღწიოთ და მივაღწევთ კიდეც იმას, რომ პარტიის მიერ მუშათა მომარაგების დარგში წამოყენებული ამოცანები შესრულებულ იქნას. ეს უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ გაუმჯობესებულ იქნას მუშათა მომარაგება, მოითხოვს ყველა პარტიულ, პროფესიონალურ, სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა ერთსულოვან მედგარ შეტევას არსებულ სიძნელეთა დასაძლევად. მაგრამ ის ამავე დროს მოითხოვს დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც ამინდზე და სხვა „ობიექტიურ პირობებზე“ მითითებით ამართლებენ თავისი რწმენის უქონლობას მიღებულ გეგმებისა და ტემპების შესრულებაში. ეს საქმე ეხება ისეთ ორგანიზაციათა მუშაობას, როგორიც არის „ხოიუზპლოდოვოშჩ“. ჩვენ განგაშს ვტეხდით და ახლაც მივუთითებთ იმ უსაზიზღროეს ფაქტებზე, რასაც ადგილი აქვს სამრეწველო ცენტრების იაფი ბოსტნეულით მომარაგების დარგში. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, დამნაშავეა გადაზიდვის საქმის დაყენების პირდაპირ მიუტევებელი მდგომარეობა, პროფკავშირულ ორგანიზაციების ძილი და სამომხმარებლო კოოპერაციის ოპორტუნისტული პრაქტიკა, რომელსაც არ ეხერხება და, მთელ რიგ შემთხვევებში, არც სურს გაღვივოს მუშაობის მებრძოლი დაკვრითი ტემპებზე და დარაზმოს და გამოიყენოს ყოველგვარი საშუალება და ძალები. ასეთი დამოკიდებულება აღიზიანებს და აღელვებს მუშათა მოსახლეობას, შლის მშენებლობის წარმატებებს, არაპირდაპირად გავლენას ახდენს მუშა-ხელის შემთხვევითობაზე და არღვევს ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების გეგმას.

ამავე დროს კი მოწინავე მუშები ენტუზიაზმით იწვიან და მზად არიან მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რომ კიდევ უფრო მეტად დააჩქარონ ხუთწლედის პროგრამის შესრულების ტემპები. ყოველ დღეს მოაქვს სოციალისტური შეჯიბრების ახალ-ახალი ფორმები და მძიმე და საშიშარ ჩამორჩენილობებთან ერთად ის იძლევა ცნობას პროლეტარიატის განსაკუთრებულ შრომითი აღტყინებისა და ნამდვილი კომუნისტური გმირობის შესახებ

შემხვედრი სამრეწველო- საფინანსო გეგმა, რომელსაც ქვევიდან აყენებენ ქარხნები და ფაბრიკები და რომელსაც იხილავს თვითეული ცეხი, თვითეული მუშა-ქალი და თვითეული მუშა, ახალ შესაძლებლობას და წყაროს იძლევა ხუთწლედის ტემპის აჩქარებისა და პროგრამის გადიდებისათვის, ის ენერგიის ახალ წყაროდ ევლინება მათ. მაგრამ აქ შეიძლება საქმე ჩაიშალოს მუშაობის ოპორტუნისტული მეთოდებით წარმოების გამო. ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა სრულიად რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის სახალ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და მოსკოვის ოლქის სახალ. მეურ. საბჭოს დირექტივა იმის შესახებ, რომ საჭირო არ არის სამრეწველო-საფინანსო გეგმის გამოტანა განსახილველად და დასამუშავებლად საწარმოებსა და ცეხებში. მოსკოვის ოლქის სახ. მეურნ. საბჭო პირდაპირ წინადადებას იძლეოდა—ნუ მიმართავთ „ამ სტადიაზე საკონტროლო ციფრების მუშათა საზოგადოებრიობის მიერ ფართოდ დამუშავებას და დაკმაყოფილდით მხოლოდ ამ საქმეში საწარმოთა დირექტორებისა და პროფკავშირთა საოლქო განყოფილებების ჩაბმით“. ასე აქრობენ უდიდეს შრომითი ენტუზიაზმს ბიუროკრატიულ- ოპორტუნისტული დამოკიდებულებით მუშათა ინიციატივისა და პროლეტარულ საზოგადოებრივობისადმი— ნაცვლად იმისა, რომ სათავეში ჩაუდგენ და უხელმძღვანელონ ამ ენტუზიაზმს. ჩვენ პირდაპირ უნდა ვთქვათ: არც სამეურნეო, არც პროფკავშირული, არც კოოპერატიული და არც დანარჩენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ გარდაქმნილან ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის მე-16 ყრილობის დადგენილებები. ოპორტუნიზმი ჯერ კიდევ იმარჯვებს პრაქტიკაში და ეს ჩაშლით ემუქრება პარტიულ დადგენილებებს. ჩვენ უკვე ვწერდით გეგმის ჩაშლის შესახებ ერთ-ერთ ჩვენს გიგანტ სორმოვოში. როგორ მოხდა, რომ ისეთი მსხვილი პროლეტარული ცენტრის პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ შეამჩნიეს ეს უდიდესი ჩაშლა, ჩამორჩენილობა? მხოლოდ იმით შეიძლება ამის ახსნა, რომ ოპორტუნისტებს საკმარისად ვერ უმკლავდებოდნენ აქ, როგორც ეს აღნიშნა და გამოაშკარავა „პრავდა“-ს ბრიგადამ სორმოვოში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი განგაში მისწვდება პარტიულთა უმრავლესობას და მუშათა უმრავლესობას, რომ მოხდება ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია და სორმოველების შრომითი აღტყინება მათ კვლავ მოუპოვებს ადგილს ერთ-ერთ პირველ რიგებში.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მოგვეყვანა ოპორტუნიზმის გამოხატულების სხვა უამრავი ფაქტები დანარჩენი დარგების მუშაობიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა მხედველობაში [illegible] საკოლმეურნეო მშენებლობის ფაქტები. ამ დარგშიაც აქა-იქ, როცა განვლილ გაზაფხულის „მემარცხენე“ „წარმატებებისაგან თავბრუდახვევამ“, ადგილი აქვს მემარჯვენე- ოპორტუნისტულ გეზს „თვითმიმდინარეობაზე“, უარს ღარიბთა ორგანიზაციის მოწყობასა და მათთან მუშაობაზე, არასწორ, არალენინურ ოპორტუნისტულ მიდგომას საშუალო ინდივიდუალური მეურნე გლეხისადმი და კულაკის მფარველობასაც კი და სხვ.

თავისთავად ცხადია, რომ ორ ფრონტზე ბრძოლა მოითხოვს გაბედულ თვითკრიტიკას, ოპორტუნიზმის ფაქტების დაუნდობელ გამოაშკარავებას, ყველა იმათ მოხსნას ხელმძღვანელობიდან, ვინც ახშობს თვითკრიტიკას და ნაცვლად ამისა საუკეთესო ძალების მობილიზაციას იმისათვის, რომ გამოეცხადოს ბრძოლა ჩამორჩენილობას, სადემობილიზაციო განწყობილებებს, უდარდელობასა და ტემპების ჩამორჩენილობას. საკითხი შეეხება მეტად სერიოზულ საქმეებს, ამიტომ შეუძლებელია ადგილი ექნეს უდარდელობის განწყობილებას. საკითხი ასე სდგას— იქნება თუ არა შესრულებული ხუთწლედი ოთხ წელიწადში? მოხდება თუ არა ძირითადი გარდატეხა მუშათა შრომის ხელფასის რეალურ გადიდებაში, მუშათა კლასის მატერიალური დონის ამაღლებაში? საკითხი შეეხება იმას—ნამდვილად იქნება თუ არა შესრულებული მე-16 ყრილობის დადგენილებები?

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვეწევით რა „ოპორტუნისტულ მერყეობისა და გადახრების წინააღმდეგ ბრძოლას და ვამარცხებთ რა მას, პარტია ამავე დროს რაზმავს, სოციალიზმის მშენებლობის ლენინური პოლიტიკის თანამიმდევრობით გატარების საფუძველზე, თავისი დროშის ქვეშ.

მუშათა კლასისა და სოფლის მშრომელთა უფრო მეტ და მეტ ფართო მასებს და ამტკიცებს საერთაშორისო პროლეტარიატის პოზიციებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში“. მე-16 ყრილობის რეზოლიუცია მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ).

პარტიის ყველა წევრმა, თვითეულმა შეგნებულმა მუშამ და კოლმეურნემ მონაწილეობა უნდა მიიღოს ბრძოლაში ორ ფრონტზე—„ყოველი სახის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ოპორტუნისტები, რომლებიც დამარცხდნენ და განადგურდნენ იდეოლოგიურად, ჯერ კიდევ ცდილობენ ჩაშალონ სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი და ხელს გვიშლიან გარდავლახოთ კომუნიზმისათვის ბრძოლის გზაზე აღმართული სიძნელეები.

„პრავდა“, 16 აგვისტო.

უპრინციპო დაჯგუფების წინააღმდეგ

(ბაქოს პარტორგანიზაციის შესახებ)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გამოქვეყნებულ დადგენილებას აზერბეიჯანის საქმეების შესახებ, აზერბეიჯანის ორგანიზაციის ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ის გამაფრთხილებელი იქნება აგრეთვე სხვა ცალკე ორგანიზაციებისათვის, სადაც ხელმძღვანელ წრეების უპრინციპო ბრძოლა და დაჯგუფება ნთქავს პარტიის წევრების ყურადღებას, იმის ნაცვლად, რომ ეს ყურადღება მიპყრობილ იქნას სამეურნეო და პოლიტიკურ მშენებლობის უმთავრეს საკითხებისაკენ.

აზერბეიჯანის ორგანიზაციას თავის პროლეტარულ ბაქოს ავანგარდით პარტიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ბაქო ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი სამეურნეო - პოლიტიკური ცენტრია. ბაქოს პროლეტარებმა სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე ნამდვილი რევოლიუციონური ენტუზიაზმი გამოიჩინეს.

მაგრამ ჯერ ისევ შარშან ორგანიზაციაში აღმოჩნდა ავადმყოფური მოვლენები, რომლებმაც მუშათა მასების აქტიობა შეაფერხეს და მათი პოლიტიკური ზრდა შეაკავეს. ოჯახობრივობის, უპრინციპო დაჯგუფების და თვითკრიტიკის ჩახშობის ელემენტები ხელს უწყობდნენ ხელმძღვანელ ცალკე წრეების გახრწნას და მემარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკის ზრდას, რასაც სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა ორგანიზაცია. ცეკას ჩარევა დაეხმარა ამ ავადმყოფურ მოვლენათა გამომჟღავნებას და ხელი შეუწყო თვითკრიტიკის განვითარებას და მუშათა და პარტიულ მასების აქტიობის მობილიზაციას სიძნელეთა დასაძლევად.

ბოლო დროს უპრინციპო დაჯგუფებათა ბრძოლის ელემენტები აზერბეიჯანში განახლდნენ. 3 აგვისტოს დადგენილებაში ცეკა ადასტურებს, რომ ორგანიზაციის ქვედა ფენების ზრდასა და გამაგრებასთან ერთად, აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) და ბაქოს ორგანიზაციის ზედა ფენამ არა თუ განაახლა ძველი დაჯგუფება, არამედ უპრინციპო ჯგუფთა ბრძოლამ ბოლშევიკურ პარტიისათვის სრულიად დაუშვებელი ხასიათი მიიღო. ამასისა, მიქოიანისა და სხვების არა ბოლშევიკურ მოქმედებებით, იმის მაგივრად, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ქალაქად და მეტადრე სოფლად პარტიულ და სამეურნეო მუშაობის მთავარ ნაწილებისათვის, იმის მაგივრად, რომ დახმარება გაეწიათ აზერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის (ბ) ხელმძღვანელობისათვის, რომელიც სწორ პარტიულ ხაზს ატარებდა, ზემოდ დასახელებულმა ამხანაგებმა უპრინციპო ჯგუფური ბრძოლა დაიწყეს და პარტიის წევრისათვის არასაკადრისი მეთოდები იხმარეს, მეთოდები დისკრედიტაციისა და ერთმანეთის მიმართ მტრული განწყობილების გაძლიერების.

ცეკამ დაადგინა აზერბეიჯანში მუშაობიდან მოხსნას ამხანაგები: ბაგიროვი, გოლდბაუმი, მაშკევიჩი, ალიხანოვი, სტოლიაროვი და ამასი, თანაც განსაკუთრებით აღნიშნა დაუშვებელი ქცევა ამხ. კასიმოვისა, რომელმაც არ შეასრულა თავისი დაპირება — ხელმძღვანელობის წინააღმდეგ არ ეწარმოებინა ჯგუფური ბრძოლა.

ამ ამხანაგების არაბოლშევიკური საქციელი დამტკიცებას აღარ საჭიროებს. უპრინციპო ბრძოლას გზაზე შეიძლოთ დადგომა მხოლოდ ისეთ ხალხს, რომლებმაც პოლიტიკური ალღო დაჰკარგეს. იმას თქმა არ უნდა, რომ ასეთი უპრინციპო ბრძოლა, როცა პოლიტიკური უთანხმოება არ არსებობს, მხოლოდ ჩვენი კლასობრივი მტრისთვისაა ხელსაყრელი. სურდათ ეს თუ არა ამხანაგებს ბაგიროვს, ამასს, მაშკევიჩს და სხვებს, მათ ეს საქმე მაინც შეასრულეს.

ბაქოელ ბოლშევიკებმა ამხანაგ ლომინაძის მოხსენების თანახმად მთლიანად და სავსებით მოიწონეს ცეკას 3 აგვისტოს დადგენილება უპრინციპო დაჯგუფების და იმ ამოცანის შესახებ, რაც აზერბეიჯანის ორგანიზაციის წინაშე სდგას. აქტივმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯგუფურ ბრძოლის გაგრძელება, ვისგანაც კი ის უნდა გამომდინარეობდეს, ამ დაჯგუფების მონაწილეებს, მათი მდგომარეობის მიუხედავად პარტიის რიგების გარეშე დააყენებს.

უპრინციპო ბრძოლის განხილვა სხვაფრივ არ შეიძლება, თუ არა ისე, როგორც არაპარტიული მოქმედება, პარტიის წევრებისათვის შეუფერებელი საქციელი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გადაწყვეტილება და ამის საფუძველზე ბაქოს აქტივის დადგენილება აზერბეიჯანის ორგანიზაციის ყოველ რგოლში უნდა იყვეს ახსნილ-განმარტებული. უნდა მოხდეს პარტიულ მასების მობილიზაცია, რომ ამით ერთხელ და სამუდამოდ საზღვარი დაედოს არაპარტიულ ჯგუფურ განწყობილებას.

ეჭვი არ არის, რომ ბაქოს ორგანიზაცია მიმართავს რა თავის განსაკუთრებულ ყურადღებას მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისაკენ, წიმდინარე პერიოდის უმთავრეს საშიშროების — მემარჯვენე გადახრისა და „მემარცხენე" გადახრას ბრძოლისაკენ წთავარ ყურადღებას მიაპყრობს თვითმპყრობელურ შოვინიზმს და არ შეასუსტებს ბრძოლას ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ძირშივე მოსპობს დაჯგუფების ყოველსავე შესაძლებლობას და შეხედავს მას როგორც არაპარტიულ მოვლენას, განდევნის პარტიის რიგებიდან უპრინციპო ჯგუფების მონაწილეთ, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას და შლიან სოციალისტურ მშენებლობას.

აზერბეიჯანის ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს „აზერბეიჯანის სოფელში პარტიულ და საბჭოთა მუშაობის გაძლიერებას და ნავთის წარმოების მაქსიმალურად განვითარების საქმეს". აზერბეიჯანის სოფელი მთელ პროლეტარულ და პარტიულ საზოგადოებრივ ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. ცეკა სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მხოლოდ ამის საფუძველზე აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაცია უზრუნველყოფს თავის რიგების სრულ შეკავშირებას ძირითად ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, იმ ამოცანების, რომელიც ბოლშევიკურ პარტიის მე-16 ყრილობამ დაუსახა.

ბაქოს ორგანიზაცია გაუძლებს მის წინ დასმულ ამოცანებს. აზერბეიჯანის ორგანიზაციის ახალმა ხელმძღვანელობამ ფართე პარტიულ მასებზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოს ცეკას დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება. შეუბრალებელი ბრძოლა — ამ დადგენილებით ბაქოს ორგანიზაციას ევალება: უპრინციპო დაჯგუფებასთან, და გადამწყვეტ გარდატეხის მოხდენა პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში აზერბეიჯანის სოფლად და ნავთის წარმოების მაქსიმალური განვითარება.

ბაქოს ორგანიზაცია დაჰგმობს უპრინციპო ჯგუფურ ბრძოლას და დარჩება ჩვენი პარტიის პროლეტარულ ორგანიზაციების მოწინავე რიგებში.

„პრავდა", 16 აგვისტო.

ტრევირანუსის სიტყვის გარშემო

პოლონეთის მთავრობის პროტესტი

ვარშავა, 15 აგვისტო. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ გერმანიის საქმეთა რწმუნებულთან საუბრის დროს ვარშავაში პოლონეთის მთავრობის სახელით კატეგორიული პროტესტი განაცხადა ტრევირანუსის გამოსვლის გამო, რომელიც მიმართულია პოლონეთის სახელმწიფოს მთლიანობის წინააღმდეგ და რომელიც გამომდინარეობს გერმანიის კაბინეტის წევრიდან (ადს).

გერმანიის პასუხი

ბერლინი, 15 აგვისტო. გერმანიის წარმომადგენელმა პოლონეთის მიერ გამოთქმული პროტესტის პასუხად განუცხადა ზალესკის, რომ თუმცა მას არ აქვს რწმუნება დაიწყოს დისკუსია ტრევირანუსის სიტყვის გამო, მაგრამ მაინც უნდა აღნიშნოს, რომ ეს სიტყვა არ სცვლის გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის საფუძვლებს და არ ეწინააღმდეგება არსებულ ხელშეკრულებებს. ყველამ იცის, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკა ცდილობს მიაღწიოს გერმანია-პოლონეთის საზღვრების რევიზიას მშვიდობიანი გზით. გერმანიის ყოველი მთავრობა იცავდა ამ თვალსაზრისს და არასოდეს არ იძლეოდა საბაბს ვინმეს ეჭვი შეეტანა მის განზრახვებში.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ი აცხადებს, რომ პოლონეთის პოზიცია საზღვრების რევიზიის საკითხში იმდენად მერყევია მორალურად, იურიდიულად და პოლიტიკურად, რომ ზალესკი უკეთ მოიქცეოდა, თუ თავის დროზე იტყოდა უარს დიპლომატიურ ნაბიჯებზე".

„დოიჩე ტაგეს ცეიტუნგ"-ი (ნაციონალისტების ორგანო) ფიქრობს, რომ გერმანიის ელჩი ვარშავაში დაუყოვნებლივ უარყოფს ზალესკის პროტესტს.

პოლონეთის ლეგიონერებმა და „კურიერ პოზნანსკიმ" საზიზღარი კამპანია განავითარეს გერმანელების წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ პოლონეთმა აშკარად სთქვას უარი იმ ვალდებულებებზე, რომელნიც მან იკისრა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ (ადს).

შეტაკებები თურქეთ-სპარსეთის საზღვარზე

პრესის გამოძახილი

ვენა, 15 აგვისტო. თურქეთ - სპარსეთის საზღვარზე უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, ბურჟუაზიული „ნეიე ფრეიე პრესსე" სწერს, რომ მისი აზრით, ქურთების გამოსვლა ინგლისის მახინაციების შედეგია.

სოციალ - დემოკრატიული პრესა, პირიქით, თურქეთს სდებს ბრალს სამხედრო განზრახვებში და მოითხოვს კონფლიქტის გადაცემას ერთა ლიგისათვის.

უნგრეთის სოციალ - დემოკრატების ორგანო „ნეპსავა"-ც სდებს ბრალს თურქეთს ომის საფრთხის პროვოკაციაში.

გერმანული გაზეთი „პესტერ ლლოიდ", რომელიც ბუდაპეშტში გამოდის, კონფლიქტთან დაკავშირებით სწერს ერთა ლიგის უძლურებაზე და აცხადებს, რომ სანამ ერთა ლიგას თავის განკარგულებაში არ მოეპოვება საერთაშორისო არმია და პოლიცია, ყოველი კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის ომის საფრთხეს ქმნის (ადს).

17 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მიხა ჩოდრიშვილის სახელობის შინამრეწველ-ხელოსანთა კლუბში (პლეხანოვის პროსპ. № 66)

შესდგება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მეორე გაფართოებული პლენუმი.

დღის წესრიგში:

1. პურის დამზადების შესახებ (ამხ. ავაქოვი).
2. ოლქების ლიკვიდაციის შესახებ (ამხ. მამულია).

თბილისის კომიტეტის წევრები და კანდიდატები, სარევიზიო კომისიის, პარტიის რაიკომების წევრები და კანდიდატები, მსხვილი კომუჯრედების მდივნები, კავშირების ც. გ. თავმჯდომარეები და კომუნისტ ადმინისტრატორების დასწრება სავალდებულოა. დანარჩენი ამხანაგები შედიან რაიკომების მიერ დარიგებული ბილეთებით.

თბილისის საოლქო კომიტეტის ბიურო.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

შევჩენკოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 16 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო დადგენილება შევჩენკოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ შევჩენკოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა სავსებით გაამართლა სატრაქტორო სადგურების, როგორც სასოფლო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის და აღორძინების მძლავრი საშუალების როლი. სადგური გახდა გლეხურ მეურნეობათა მასიური განსაზოგადოების ორგანიზატორი, მან რაიონის სასოფლო მეურნეობა აიყვანა უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე და თითქმის გააორკეცა მისი საქონლიანობა. სადგურის მუშაობის დიდ ნაკლს წარმოადგენს მასიური მუშაობის უაღრესი სისუსტე და აგრეთვე გადახრები, რასაც შედეგად მოჰყვა ზოგიერთ კოლმეურნეთა გამოსვლა კოლექტიურ მეურნეობებიდან სადგურის რაიონში. თავის დადგენილებაში ცეკა საჭიროდ სთვლის შევჩენკოს სადგურის განვითარებას რაიონის სასოფლო მეურნეობის ძირითად დარგების განსაზოგადოების და ტექნიკური გარდაქმნის მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას მელორეობის განვითარებაზე. ცეკა აღნიშნავს, რომ სადგურის წარმატების განმტკიცება და შემდგომი განვითარება მოითხოვს გადამჭრელ გარდატეხას მასიურ მუშაობაში სადგურის რაიონში. ცეკას რაიონის და ოლქის საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციებს წინადადებას აძლევს გაატარონ მთელი რიგი ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მიღწეულ წარმატების განსამტკიცებლად რაიონში. ცეკას მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა შორის არის: უჯრედების დაახლოება რაიონებთან, აქტივისტების—სასოფლო-სამეურნეო მუშების და კოლმეურნეების ჩაბმა პარტიაში, სპეციალისტთა კადრების მომზადება კოლმეურნეებიდან, თვითკრიტიკის განვითარების საფუძველზე კოლმეურნეთა ჩაბმა სადგურის მუშაობაში და საწარმოო თათბირების მოწყობა. ცეკამ წინადადება მისცა პარტიის რაიკომს მიიღოს ზომები სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად სადგურზე და კოლმეურნეებში (ადს).

დემონსტრაციები პრაღაში

საბჭოთა კავშირის, პროფინტერნის მე-5 კონგრესის და ჩინეთის რევოლიუციის საპატივსაცემოდ

პრაღა, 15 აგვისტო. შესდგა ორიათასი მუშის კრება, მოწვეული წითელი პროფკავშირების მიერ. ამ კრებაზე ანგარიში უნდა ჩაებარებია საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ მუშათა დელეგაციას.

კრება გადაიქცა მძლავრ დემონსტრაციად საბჭოთა კავშირის, პროფინტერნის V კონგრესის და ჩინეთის რევოლიუციის საპატივსაცემოდ.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას წევრი გუტმანი და წითელი პროფკავშირების წარმომადგენელი ზაპოტოცკი. როგორც კი დაიწყო საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული დელეგაციის მოხსენება, პოლიციამ დაშალა კრება.

მიტინგის მონაწილენი დაიშალენ „ინტერნაციონალის" სიმღერით და ყვირილით: „ძირს რეჟიმის ჯლახების მთავრობა", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, რევოლიუციონურ ჩინეთს!" (ადს).

ფაშისტური გადატრიალება კანონიერი გზით

საარჩევნო კანონის რეფორმა გერმანიაში

ბერლინი, 15 აგვისტო. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ი ადასტურებს მემარცხენე პრესის ცნობებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშავდება საარჩევნო უფლების ფარგლების და რეიხსტაგის დეპუტატების რიცხვის შემცირებისა და ჰასაკის ცენზის გადიდების მხრივ. უკანასკნელი უპირველეს ყოვლისა მიმართულია რევოლიუციონური მშრომელ ახალგაზრდობის წინააღმდეგ, რომელსაც ბურჟუაზიას სურს წაართვას რეიხსტაგში თავის წარმომადგენლების გაგზავნის საშუალება. (ადს).

ებრაელ ფაშისტების მოთხოვნილება

პრაღა, 15 აგვისტო. სიონისტ-რევიზიონისტების (ებრაელი ფაშისტები) კონგრესი მიღებულ რეზოლიუციაში აცხადებს ებრაელ ხალხის ნდობა სერიოზულად არის შერყეული, ვინაიდან ინგლისი საკმაო სიმტკიცით არ ებრძვის არაბთა მოძრაობას პალესტინაში. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ ინგლისმა მიიღოს ყველა ზომები ებრაელ უმრავლესობის შესაქმნელად პალესტინაში.

სიონისტ - რევიზიონისტების კავშირის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ჟაბოტინსკი (ადს).

აგრარული ქვეყნების კონფერენცია

ლიტვამ უარით უპასუხა პოლონეთს

კოვნო, 15 აგვისტო. ლიტვის მთავრობამ აცნობა პოლონეთს, რომ იგი შესაძლებლად არა სთვლის მონაწილეობის მიღებას ვარშავაში მოწვეულ აგრარულ კონფერენციაზე

ლატვია ანტი-საბჭოთა ბლოკში

რიგა, 15 აგვისტო. ლატვიის მთავრობამ აცნობა პოლონეთს, რომ თანახმაა მონაწილეობა მიიღოს ვარშავის აგრარულ კონფერენციაზე. (ადს).

პილსუდსკის ავანტიურის 10 წ. თავი

ვარშავა, 16 აგვისტო. პოლონეთის მთელი პრესა წერილებს უძღვნის ვარშავიდან წითელი არმიის უკან დახევის 10 წლისთავს. მთავრობის პრესა ხოტბასასხამს მთავარ სარდლობასა და პილსუდსკის.

„გაზეტა ვარშავსკა" აცხადებს, რომ 1920 წ. კამპანიამ მთელი რიგი დამარცხებები აგემა პოლონეთს დასავლეთში, სადაც ჩამოჰკვეთეს პოლონეთის საზღვრები. აღმოსავლეთშიც პოლონეთმა მიიღო უფრო უარესი საზღვარი, ვიდრე მიიღებდა კიევის ლაშქრობის გარეშე. ამ ლაშქრობას გაზეთი უწოდებს ავანტიურას, რომელიც „პოლონეთს მოახვია თავზე უმაღლესმა სამხედრო სარდლობამ". ახლაო, — სწერს გაზეთი, — „ვისლაზე მომხდარ სასწაულის" ათი წლის შემდეგ, პოლონეთში კვლავ იწყებენ ლაპარაკს უკრაინაზე, ჯვაროსნულ ომზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და, დაბოლოს, იმაზე, რომ საჭიროა შექმნა დამოუკიდებელი უკრაინის, რომელიც ფრანგ კრედიტორებს რუსეთის ვალის ნაწილს მაინც დაუბრუნებს" (ადს).

კალიუმის ბუდობები საბჭ. კავშირში

ბერლინი, 15 აგვისტო. საბჭოთა კავშირში კალიუმის ბუდობების გამოკვლევის შემდეგ დაბრუნდა ორი გერმანელი ექსპერტი—კალიუმის მაღაროების დირექტორი **კლაუსი** და პროფესორი **შპაკლერი**.

ექსპერტებმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნეს, რომ 70 კილომეტრის სიგრძის მქონე ველზე კალიუმის ბუდობების დამუშავების დაწყება მხოლოდ დასაწყისია. მარტო ურალზე კალიუმის მარაგი აურაცხელია (ადს).

რუმინეთში

მრეწველობის კრიზისი

ვენა, 15 აგვისტო. გრძელდება რუმინეთის მრეწველობის პროდუქციის შემცირება, რაც იწვევს მუშების მასიურ დათხოვნას. კლაუზენბურგში ლითონის ჩამომსხმელ სამანქანო ქარხნებიდან დაითხოვეს 110 მუშა. დიბელის საფეიქრო საწარმოში ადმინისტრაციამ 25 პროცენტით შეამცირა ხელფასი. გალაცში ტყავის ხუთი ქარხნიდან მხოლოდ ერთი მუშაობს და ისიც ჩქარა დაიხურება. რვაათასზე მეტი მეტყევე-მუშა უმუშევრადაა. გალაცში მეტყევე-მუშების დიდი საპროტესტო მიტინგი გაიმართა (ადს).

ვოივოდი ფინანსიურ დახმარებას უწევს ფაშისტურ „რკინის გვარდიას"

ვენა, 15 აგვისტო. რუმინეთის ლიბერალურ პრესის ცნობით, რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ვოივოდი ფაშისტურ შეიარაღებულ ორგანიზაციის „რკინის გვარდიას" სახელმწიფო თანხებიდან ფართო დახმარებას უწევს. ვოივოდმა, როგორც გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის ამასრულებელმა, „რკინის გვარდიას" გარეშე საქმეთა სამინისტროს სამხედრო ფონდიდან 25.000 მანეთამდე მისცა. „რკინის გვარდიას" უფლება აქვს ანტისემიტური საგიტაციო მოგზაურობისათვის ისარგებლოს მთავრობის ავტომობილებით.

ვირტის განცხადება

იუნგის გეგმის შესრულება შეუძლებელია

ბერლინი, 15 აგვისტო. ლიგნიცში ცენტრის პარტიის საარჩევნო კრებაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვირტმა** განაცხადა, რომ **თუ ეკონომიური კრიზისი ძველი ტემპით გაგრძელდა, იუნგის გეგმის შესრულება შეუძლებელია.** (ადს).

კომუნისტ რედაქტორების გასამართლება

ბერლინი, 15 აგვისტო. ლეიპციგის სასამართლომ ადგილობრივ კომუნისტურ გაზეთის რედაქტორს ტომასს 15 თვით ციხეში დატუსაღება მიუსაჯა. ტომასს ჰბრა-
გაზეთის რედაქტორს ტომასს 15 თვით ცი-
მოხატა იმაზე, რომ ტომასი მასიურ გაფიცვისაკენ მოუწოდებდა. ტომასი ორმოცდამეჩვიდმეტე კომუნისტი - რედაქტორია, რომელსაც „სახელმწიფოს ღალატი" ჰბრალდება.

ინჟენერების გმირობა

სვერდლოვსკი, 16 აგვისტო. ნევინის ცემენტის ქარხანაში ინჟენერებმა **ლურიემ** და **ბურდიუკოვმა** საწარმოო გმირობის განსაკუთრებული მაგალითი გამოიჩინეს. მეორე ღუმელმილიდან გადმოვარდა აგური და მუშაობა შეჩერდა. ღუმელის შესაკეთებლად საჭირო იყო მუშაობის შეჩერება ორ-ნახევარ დღელამით. ამხანაგები **ლურიე** და მისი თანაშეწე **ბურდიუკოვი** შევიდნენ ღუმელში, უკანასკნელის გაცივებამდე, ესე იგი 16 საათის მაგივრად ოთხი საათის შემდეგ. ღუმელში ტემპერატურა 100 გრადუსს უდრიდა. სიცოცხლისათვის საფრთხის მიუხედავად ინჟენერებმა დაზიანებული ადგილი შეაკეთეს. ორ-ნახევარ დღელამის მაგივრათ ღუმელი ორ საათს გასცდა. ეკონომია 10 ათას მანეთს უდრის. დაზოგვილი იქნა აგრეთვე 2.500 კასრა კლინკერი (ადს).

ახალი ექსპედიცია მყინვარ წვერზე

18 აგვისტოს თბილისიდან ყაზბეგისკენ მიემგზავრება **საქ. გეოგრ. საზ-ბის და საქ. გეოფიზიკ. ობსერვატორიის** გაერთიანებული ექსპედიცია, მყინვარ წვერზე ასასვლელად. ექსპედიციას თან მიაქვს მაგნიტური დახრილობის გასაზომი იარაღები, მინიმალური თერმომეტრი და ანეროიდი—სიმაღლის გასაზომად. ექსპედიცია მოახდენს თავის დაკვირვებებს როგორც გზა და გზა, ისე მწვერვალზე, 5046 მეტრ სიმაღლეზე. მოხდება უკანასკნელ ექსპედიციების მიერ გაზომილ სიმაღლეების ზუსტი შემოწმება, რადგან წინანდელ ექსპედიციების გაზომვათა შორის არის შეუთანხმებლობა.

ექსპედიცია შესდგება 7 კაცისაგან. ხელმძღვანელად არის დანიშნული პ. ცისკარიშვილი. მყინვარ წვერზე ასვლა ნავარაუდევია 22 აგვისტოს.

მოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში

კოლექტიური შრომის ბრწყინვალე შედეგები

გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის ძლიერი საკოლმეურნეო რაიონების გამოცდილება *)

წლინახევრის წინად ჩვენი არტელების მიწებზე თარეშობდა მემამულე ბრიტე. ფრანგ კულაკ ბრიტეს თავის დროზე, რასაკვირველია, მეტად გულთბილად შეხვდენ ყოფილ მეფის რუსეთში, მან მაგრად გაიდგა ფეხი ბრიტანში და მრავალი წლების განმავლობაში სასტიკად ყვლეფდა ბრიტანის მოჯამაგირეებს. გათენებამდე მუშაობდენ მოჯამაგირეები მემამულეს ვენახში და მუშაობაში რაღაც გროშებს იღებდენ. რევოლიუციის წლებშიც კი მოხერხებული ფრანგი სარგებლობდა რა უცხოეთის ქვეშევრდომის პრივილეგიებით, ეძებ და სხვადასხვა გამოსავალს ატყუებდა საბჭოთა ხელისუფლებას და მთელ რიგ წლების განმავლობაში განაგრძობდა თავის ექსპლოატატორულ მოღვაწეობას, განაგრძობდა მოგების მიღებას მოჯამაგირეთა შრომიდან.

მხოლოდ საკოლმეურნეო მოძრაობის მძლავრმა ტალღამ და პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით დაწყებულმა მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა მასების შეტევამ კულაკზე, რასაც შედეგად მოჰყვა მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, — ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო ექსპლოატატორის თარეშს. მემამულის ვენახები მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა განკარგულებაში გადავიდა, მონური ყოფა შესცვალა თავისუფალმა საკოლმეურნეო შრომამ. **მემამულე ბრიტეს ყოფ. მოჯამაგირეებმა ღარიბ და საშუალო გლეხებთან ერთად ბრიტანში შექმნეს სასოფლო-სამეურნეო არტელი „ნეზამოჟნიკ".**

⁂

ახლა არტელში ითვლება 429 მეურნეობა: 180 მოჯამაგირის, 147 ღარიბი და 102 საშუალო გლეხის მეურნეობა. არტელში არის 1.785 მჭამელი, მათ შორის შრომის უნარიანი — 862, შრომის უნარმოკლებული—923. განსაზოგადოებულია: მუშა-ცხენი — 140, კვიცი — 24, ძროხა—13, ხბო — 10, დედა ღორი— 14, გოჭი—6, სხვადასხვა ფრინველი—477 ფრთა. არტელის წევრთა ინდივიდუალურ სარგებლობაში იმყოფება 119 ძროხა და 57 ხბო, 9 დედა-ღორი და 13 გოჭი, 1520 ფრთა ფრინველი.

არტელის თავთავიან და ტექნიკურ კულტურების ნათესებს, მზესუმზირასა და საკვებ ბალახის ნათესებს და ბაღჩებს უჭირავს 3.897 ჰექტარი, სახნავი მიწა — 700 ჰექტარი. არტელის ვენახს უჭირავს 138 ჰექტარი, ბაღს — 13 ჰექტარი. წარსულ წელში არტელის გაერთიანებამდე თვითეულ მეურნეობაზე, რომელიც ამჟამად კოლმეურნეობაში შედის, მიწა საშუალოდ მოდიოდა მხოლოდ 7,1 ჰექტარი, ახლა არტელში მოდის 10,8 ჰექტარი — 30 პროც.-ით მეტი. უვარგისი მიწები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინად მიტოვებული იყო, გამოყენებულ იქნა სათესად და შევიდა საწარმოო ბრუნვაში.

უმკაცრესი კლასობრივი ბრძოლის პირობებში და კულაკებთან გადამწყვეტ ბრძოლაში იშვა, იზრდებოდა და მაგრდებოდა ჩვენი არტელი. მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების გადაწყვეტილებით ლიკვიდაციაქმნილ, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით გაუნადგურებელი კულაკობა, რომელიც აგონიას განიცდის საკოლმეურნეო ფრონტის შეტევის გავლენით, არ სთმობდა და ახლაც არ სთმობს თავის პოზიციებს. კულაკი ცეცხლით და მახვილით იბრძოდა, იგი პროვოკაციით ცდილობდა ზოგიერთ შეუგნებელ კოლმეურნეების მიმხრობას იმისათვის, რომ დაეშალა არტელი, ძირი გამოეთხარა საკოლმეურნეო დისციპლინისათვის და ჩაეშალა კოლექტიური შრომა.

კულაკი თავის იერიშებს მიმართავდა კოლექტიურ მეურნეობის უძვირფასეს ნაწილზე—საკოლმეურნეო ვენახზე. ჯერ კიდევ სულ რამდენიმე ხნის წინ, ხორბლეული კულტურების აღების დაწყებამდე, კულაკებმა სცადეს კოლმეურნე ქალების ჩამორჩენილ ნაწილის შეუგნებლობის გამოყენება და მათი დემონსტრაციის მოწყობა კოლმეურნეობის ვენახის დაყოფის მოთხოვნით. მაგრამ კულაკების ყველა ამ ცდებზე ჩვენ მკაცრი და გამანადგურებელი პასუხი გავეცით.

⁂

აი საკოლმეურნეო შრომის ძლევამოსილი შედეგები:

ვენახიდან ჩვენ ყველაზე ფრთხილი გამოანგარიშებით (33,3 ცენტნერი თითო ჰექტარიდან) მიმდინარე წელს მივიღებთ 4.600 ცენტნერ ყურძენს, რაც ერთად მოგვცემს საერთო შემოსავალს, დაწესებულ საკონვენციო ფასების მიხედვით, 164 ათას მანეთს. ხილის ბაღის შემოსავალი შეადგენს— 9.800 მანეთს. შემდეგ ხორბლეული ნათესებიდან ჩვენ მივიღეთ: ხორბალი—7.395 ცენტნერი, ჭვავი—10.290 ცენტნერი, ქერი—7.915 ცენტნერი, შვრია—2.017 ცენტნერი, სიმინდი—1.218 ცენტნერი, მზესუმზირა—410 ცენტნერი, სელი—96,6 ცენტნერი, ბამბა—366 ცენტნერი, ლობიო—70 ცენტნერი და სხვ. ნარჩენებთან ერთად არტელის მთელი შემოსავალი ხორბლეულ, ტექნიკურ და სხვა კულტურებიდან საკონვენციო ფასებით შეადგენს 248.636 მანეთს. სულ არტელი მთელი მეურნეობიდან მიიღებს 422.436 მანეთს შემოსავალს.

მოსავალს ნატურით არტელი შემდეგნაირად გაანაწილებს: კოლმეურ-
3.074.5 ცენტნერი.

ნეობის მოწყობის დასაწყისში, როცა ჩვენ ცარიელი ხელებით,—ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით,—შევუდექით მიწის დამუშავებას, მიღებული სათესლე სესხის დასაბრუნებლად—

მომავალი წლისათვის საჭირო სათესლე მასალა—2.343 ცენტნერი.

დაზღვევის ფონდში შემოდგომის ნათესების დაღუპვის შემთხვევისათვის—300 ცენტნერი.

საზოგადოებრივი კვების საჭიროებისათვის სხვადასხვა პროდუქტები—480 ცენტნერი.

მუშა და პროდუქტიული საქონლის გამოსაკვებათ—1.733 ცენტნერი სხვადასხვა ხორბლეული: საკვები ბალახი —2.211 ცენტნერი და ნარჩენები (ჩალა და სხვ.)—18.670 ცენტნერი.

სახელმწიფოს ჩვენ ვაბარებთ (ერთი მესამედის ანგარიშით) სხვადასხვა სასაქონლო ხორბლეულსა და ტექნიკურ კულტურებს—12.565 ცენტნერს, ყურძენს—4.600 ცენტნერს და ხილს —300 ცენტნერს.

ჩვენ გადავწყვიტეთ არტელის წევრებს ხელფასის ანგარიშში ნატურით მივცეთ 3⅓ ცენტნერი სასურსათო კულტურებისა თვითეულ მოზრდილ მჭამელზე და 1⅔ ცენტნერი ბავშვზე სამ წლამდე. აქედან 35% ხორბალი და 65% ჭვავი. საერთო კვებისათვის მინდვრის სამუშაოების დროს ჩვენ გამოვყოფთ ფონდს—335 ცენტნერ ხორბალსა და ჭვავს.

მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, თუ არტელი შეიძენს მეწველ ძროხებსა და ან ღორებს, ან არტელის წევრი შეიძენს ინდივიდუალურ სარგებლობისათვის ძროხას ან ღორს, ჩვენ გამოვყავით საკვები ფონდი, რომელშიც შედის 500 ცენტნერი სხვადასხვა საკვები კულტურები და 12 ათასი ცენტნერი ნარჩენები.

ამრიგად ჩვენ კოლმეურნეობაში ვტოვებთ არტელის წევრებს შორის და ზემოდ აღნიშნულ ფონდებში დასანაწილებლად 6.995 ცენტნერ ხორბლეულსა და 12.000 ცენტნერ ნარჩენებს. გარდა ამისა ჩვენ კიდევ გვრჩება ზედმეტი სასაქონლო 4.289 ცენტნერი ხორბლეული და ტექნიკური კულტურები და 14.000 ცენტნერი ჩალა.

როგორ გამოვიყენებთ ჩვენ ამ ნარჩენებს?

4.289 ცენტნერ მონარჩენ სასაქონლო ხორბლეულ და ტექნიკურ კულტურებს ჩვენი წითელ საკოლმეურნეო ქარავანით გამოვიტანთ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად, პურის დამზადების გეგმის გარეშე. 14.000 ცენტნერ ჩალას კი ჩავაბარებთ ჩვენს მეზობელს და ტოლს, ყოფილ კულაკურ მიწებზე გაზრდილს მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობას „მოჯამაგირეების გამარჯვება"-ს.

⁂

როგორ გადავწყვიტეთ ჩვენი მოსავლის განაწილება?

მთელი შემოსავალი შეადგენს 422.436 მანეთს. აქედან ჩვენ 5%-ს გადავრიცხავთ არტელის წევრებს შორის გასანაწილებლად, მათ მიერ განსაზოგადოებული ქონების მიხედვით. ეს შეადგენს 20.620 მანეთს. შემდეგ გადავრიცხავთ თესლის ღირებულებას სათესლე სესხის დასაბრუნებლად და მომავალ წელს დასათესად—35.422 მანეთი, კოლმეურნეობაში დარჩენილი ფურაჟი—15.911 მანეთი. სამანქანო-სატრაქტორო სადგურს მიწის დამუშავებისათვის—15.000 მანეთი, ინვენტარის რემონტისა და ამორტიზაციისათვის—6.500 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და დაზღვევისათვის—14.000 მანეთი, იმ ვალების გადასახდელად, რომლებსაც მიმდინარე წელს უთავდება ვადა— 60.000 მანეთი, საერთო ხარჯების დასაფარავად—3.600 მანეთი და მოულოდნელი ხარჯებისათვის—3.500 მანეთი.

ყველა ამ ანარიცხების შემდეგ რჩება 237.883 მანეთი. აქედან ჩვენ სოციალისტური დაგროვების წესით გამოყოფილ კაპიტალში გადავრიცხავთ 20 პროცენტს, შემდეგ 2 პროცენტს გადავრიცხავთ კულტურულ ყოფა-ცხოვრებითი ფონდში, 2 პროცენტს შრომის უნარმოკლებულ ფონდში და 3 პროცენტს „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს" სახელობის ფონდში იმ საუკეთესო კოლმეურნეების დასაჯილდოვებლად, რომლებმაც თავი ისახელეს თავისი ენერგიული და მაღალ პროდუქტიული შრომით. ამრიგად კოლმეურნეთა შორის დასანაწილებლად რჩება 173.657 მანეთი.

შემდეგ არტელში მიღებული 7 თანრიგიანი სატარიფო ქსელის მიხედვით ჩვენ გამოვიანგარიშეთ არტელში 27 ივლისამდე ფაქტიურად ნამუშევარი დღეები და ვარაუდით ის დღეები, რომელიც თვითეული თანრიგის მიხედვით იქნება ნამუშევარი წლის ბოლომდე. დაწესებული კოეფიციენტის მიხედვით ისინი გადავიტანეთ პირველი თანრიგის სამუშაო დღეებზე. სულ გამოვიდა 122892 სამუშაო დღე. ამრიგად პირველი თანრიგის ერთი სამუშაო დღის ღირებულება შეადგენს 1 მან. და 41 კაპეიკს. კომლზე საშუალოდ მოდის პირობითი წმინდა შემოსავალი 405 მანეთი, მჭამელზე 97 მანეთი და 20 კაპ.

როცა შევუდექით გამოანგარიშებას ცალკე მეურნეობების მიხედვით, ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ის, რომ არტელის წევრთა ნაწილი კოლმეურნეობაში ცოტას მუშაობდა, ცუდათ ასრულებდა დავალებებს, და ამიტომ საჭიროდ ვსცანით მოგვეხდინა საკოლმეურნეო წარმოებაში ჩაბანდებული შრომისა და ნატურით გაცემის დიფერენციაცია. ვინც არტელში სამუშაო დღეების მიხედვით ორ თვეზე მეტი იმუშავა, ის იღებს პროდუქტების სრულ ნორმას (3,3 ცენტნერს), ვინც იმუშავა ერთ თვეზე მეტი, მაგრამ ორ თვეზე ნაკლები—ნორმის 50 პროცენტს, ვინც ერთ თვეზე ნაკლები იმუშავა—ნორმის 25 პროცენტს.

ყველა ზემოთ მოყვანილი გამოანგარიშების მიხედვით ცალკე კოლმეურნეები მიიღებენ:

გვარი	რამდენი სულია	შრომის უნარიანი	ნამუშევარი აქვს სხვა-სხვა თანრიგის შრომა-დღე	თანრიგი	საერთო შემოსავალი	მიღებული აქვს ნატურით სურსათი და საკვები საქონლისათვის	მისაღები აქვს ფულად
ე. სენინი, საშუალო გლეხი	6	3	291	III და I	654—60	135—72	518—88
ს. გარკუშა „	5	4	484	III და I	924-00	169—70	754-30
პ. პეტრუშენკო „	4	2	200	III და I	470—10	173—04	297—06
გ. ბიჩკოვი, მოჯამაგირე	5	1	236	III	566—40	122—20	446—20
მ. კოლოდჩენკო „	3	2	172	III	412—80	69—92	343-88
ი. ხალახუროვი „	5	2	189	V	638—82	144-50	494—32
ი. მაციპურა, ღარიბ. გლეხი	7	4	266	III	638—40	174—60	463—80
ფ. ჩერნიაკი „	5	3	439	III	1053—60	169—70	883—90
ა. მასიუტკინი „	10	5	437	V, III, I	1231—67	200—48	1031—19
ტ. რიბალჩენკო „	6	2	8	III	19—20	—	19—20

გარდა ამისა არტელში განსაზოგადოებული ქონება მიიღებს 43 კაპეიკს მათ მიერ განსაზოგადოებული და ვალისაგან თავისუფალ ქონების თვითეულ მანეთზე.

⁂

27 ივლისს შესდგა არტელის წევრთა კრება, რომელმაც განიხილა მოსავლისა და შემოსავლის განაწილების პარტუჯრედის ბიუროს მიერ შემუშავებული წესი. კრებაზე არტელის წევრებმა **გარკუშამ, ხალახუროვმა** და **მასუტკინმა** ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა ქონდათ მათ თავის ინდივიდუალურ მეურნეობაში კოლმეურნეობაში შესვლამდე:

გარკუშას მთელი წლიური შემოსავალი შეადგენდა 735 მანეთს. ყველა ხარჯების დაფარვის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის, ოჯახისათვის პროდუქტების და საქონლისათვის საკვების გამოყოფის შემდეგ მას რჩებოდა სულ 98 მან. და 50 კაპ. ახლა კოლმეურნეობაში მას რჩება 754 მან. და 30 კაპ.

ხალახუროვს მიწა სრულიად არ ჰქონებია. არტელის მოწყობამდე სულ მუდამ მუშაობდა კულაკებთან 300 დღის განმავლობაში—წელიწადში, გათენებიდან გათენებამდე. წლიურად დიდი-დიდი აკეთებდა 400 მანეთს და ამ ფულით უნდა ერჩინა თავისი თავი და მთელი ოჯახი. კოლმეურნეობაში **ხალახუროვი**, რომელმაც იმუშავა მხოლოდ 189 დღე, დღეში 10 საათი, მთლიანად უზრუნველყოფს თავის ოჯახს სურსათით და გარდა ამისა ფულად მიიღებს 500 მანეთამდე.

მასუტკინს ინდივიდუალურ მეურნეთ ყოფნის დროს საერთო შემოსავალი ჰქონდა 547 მანეთი. ყველა ხარჯების დაფარვის, თავის-თავის და ოჯახის გამოკვების და ფურაჟით საქონლის უზრუნველყოფის შემდეგ მას რჩებოდა მხოლოდ 90 მანეთი და 20 კაპეიკი. ახლა კოლმეურნე მასუტკინი მიიღებს 1.031 მანეთს.

ასეთია უდიდესი განსხვავება საკოლმეურნეო ინდივიდუალური შრომის შედეგებს შორის, განსხვავება, რომელიც ამსხვრევს კულაკსა და მემარჯვენე უკლონიზმს. კრებამ დაწვრილებით განიხილა პარტუჯრედის ბიუროს წინადადება, მიიღო იგი და ერთხმად დაამტკიცა განაწილების შემუშავებული წესი. განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნეს თავის გამოსვლებში არტელის წევრებმა ის ფაქტი, რომ მოსავლის განაწილება თვითეული კოლმეურნის მიერ საკოლმეურნეო წარმოებაში დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით უშუალოდ და მკაცრად ხვდება სიმულიანტებს, დროის მუშაობის გამცდენლებს და საკოლმეურნეო შრომის ფრონტის დეზერტირებს, რომ ეს წესი ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის ამაღლებას და მას შედეგად მოჰყვება კოლმეურნეობის შემდგომი გამაგრება. შემდეგ კოლმეურნეობები გამოსთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ არტელის შემოსავლის წესიერი განაწილება იქნება ძლიერი ბერკეტი „კოლმეურნეობათა შიგნით წვრილ ბურჟუაზიული მერყეობის დასაძლევად" და „კოლმეურნეობებში ღარიბ და საშუალო მეურნეობების შემდგომი ჩაბმისათვის ნებაყოფლობითი საფუძველზე".

ფაქტია ის, რომ **საერთო კრების მეორე დღეს შესამჩნევად გაიზარდა არტელის წევრთა გამოსვლა სამუშაოზე, დაიწყო განცხადებების მასიურად შემოსვლა არტელიდან გასულთაგან და ინდივიდუალურ მეურნეთაგან არტელში მიღების შესახებ.**

საკოლმეურნეო შრომის შედეგებმა გვიჩვენა თავისი ძლევამოსილი ძალა.

---

*) ჩვენ მოგვყავს აქ ცნობები ხერსონის ოლქის სოფ. ბრიტანის სას.-სამეურნეო არტელის „ნეზამოჟნიკის" მუშაობის გამოცდილებიდან.

შეღავათები კოლმეურნეობებს და საგადასახადო კამპანიის მდგომარეობა ადგილებზე

სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მისი სოციალისტური სექტორის შემდგომი წარმატებული განვითარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს საგადასახადო კამპანიის სწორად დაყენება და გატარება ადგილებზე; ეს თავის მხრივ, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორადაა დაყენებული დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება და შეღავათების მინიჭება კოლმეურნეობებისა და ხელმოკლე ღარიბ მეურნეობებისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ ატარებენ საგადასახადო კამპანიას და მისი შეღავათების ახსნა-განმარტებას, არასაკმაოდ აქვთ გაგებული და შეთვისებული ამ ამოცანის მნიშვნელობა.

თუმცა სადირექტივო ორგანოებმა, აგრეთვე პრესამ თავის დროზე გააფრთხილეს ისინი, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშებაში მოსალოდნელია ერთგვარ გადახვევათა დაშვება, მიუხედავად ამისა, საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ადგილი ჰქონდა დასაბეგრ ობიექტთა უსწორო აღრიცხვას—დაბეგვრის ერთეულების გადაჭარბებულად გამოანგარიშებას ან მის ნაკლებად გამოყვანას და სასოფლო- სამეურნეო გადასახადის უსწორო გამოანგარიშებას —კულაკური მეურნეობის შემოსავლის არასაკმარისად დაბეგვრას და სხვ. მუშგლეხინსის მასალა, რომელიც შეეხება შეღავათების ახსნა-განმარტებითი კამპანიისა და მთლიან სასოფლო- სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების კამპანიის შემოწმების შედეგებს მთლიანად ადასტურებს ამას.

იმ დირექტივების უმრავლესობას, რომელიც შეღავათებს შეეხებოდა, ცენტრალური ორგანიზაციები ადგილებს დიდის დაგვიანებით უგზავნიდნენ. ადგილობრივი კოლმეურნეობანი და საფინანსო განყოფილებები კი, გამოქვეყნდებოდა თუ არა პრესაში ცალკე ნორმები, თავისი ინიციატივით იწყებდენ გამრავლებას და შემდეგ ამას ატყობინებდნენ კოლმეურნეობებს სასოფლო საბჭოებში და ქოხ-სამკითხველოებში სათანადო ფურცლების გამოკვრის საშუალებით, სასოფლო ყრილობებზე ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარების საშუალებით და სხვა გზით. მაგრამ ადგილობრივი ორგანიზაციები სავსებით ვერ სწვდებოდნენ არსებულ კოლმეურნეობებს.

16 შემოწმებულ კოლმეურნეობიდან 4 მათგანს, როგორც, მაგ., გვიშტიბისა და კუხის (ქუთაისის ოლქი), სუნისისა და ტიგვის (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი) წარმოდგენაც კი არა აქვთ კოლმეურნეობათათვის არსებულ შეღავათებზე. ახსნა-განმარტებითი კამპანია ამ კოლმეურნეობებში სრულიად არ ყოფილა ჩატარებული.

საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 2 და 23 აპრილის დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათები, სახელდობრ—საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის საშუალებით გაცემული სესხის გამო დავალიანების პროლონგაცია, გადაუხდევინებელი ჯარიმების, საურავისა და დარჩენილი გადასახადების ჩამოწერა, კოლმეურნეობათა განთავისუფლება მასზე გადასულ 111 კულაკური მეურნეობის თვითდაბეგვრისა და ვალების გასტუმრებისაგან და სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულების გაუქმება— ყოველივე ეს სრულდება საყოველთაოდ არსებული დირექტივების შესაბამისად.

რაც შეეხება კოლმეურნეობის შემოსავალში პროცენტების (3—10 პროცენტამდე) გადარიცხვას იმ კოლმეურნეთა ნამუშევარიდან, რასაც ისინი კოლმეურნეობის გარეშე იწევიან (გასასვლელი სამუშაოები), ასეთი გადარიცხვა ან სრულიად არ ხდება, ან ხდება დაწესებული ნორმის ფარგლებში.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი იმ კოლმეურნის ნამუშევრიდან გადარიცხვის საქმეშიაც, რომელიც მუშაობისაგან თავისუფალ დროს იყენებს კოლმეურნეობის განსაზოგადოებულ ცოცხალ გამწევ ძალას. ზოგიერთ მეურნეობაში იცავენ ამ პუნქტს, ზოგში კი —ნაცვლად პროცენტების გადარიცხვისა, კოლმეურნეობა იღებს დღიურად 2—3 მანეთს და მთელი შემოსავალი თავისთვის მიაქვს.

კრედიტები უმეტეს შემთხვევაში ვერ აღწევს კოლმეურნეობამდე. სოფ. გვიშტიბის მეცხოველეობისა და მერძეობის არტელს საკრედიტო ამხანაგობამ არ მისცა დახმარება, თუმცა არა ერთხელ განუცხადებია ამის შესახებ. ამავე დროს კი გვიშტიბის არტელი კურორტ წყალტუბოს რაიონში რძის პროდუქტების ძირითად დამამზადებლად ითვლება.

ადგილებზე საგადასახადო შეღავათების გატარების და 1930—31 წლის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების დარგში უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ორგანოები და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი მოუმზადებელი აღმოჩნდნენ.

იმის გამო, რომ აღრიცხვის ადგილობრივი აგენტები დაბალი კვალიფიკაციისა და მოუმზადებლები არიან და აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქტორებიც იშვიათად მიდიან იქ, დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის დროს მუშაობის პროცესში დაშვებულია ასეთი შეცდომები: **საგადასახადო ობიექტების ჭარბად გამოანგარიშება ან მისი ნაკლებად გამოყვანა, დაბეგვრის ერთეულების მექანიკური გადმოწერა გასული წლის სასოფლო სიებიდან**, რომლის დროსაც მხედველობაში არ ყოფილა მიღებული დასათესი ფართობის ზრდა, ახალგაზრდა ნამრავლის წამოზრდა და სხვ. ცხადია, ასეთი აღრიცხვის ნიადაგზე გამოანგარიშებული სასოფლო- სამეურნეო გადასახადი რეალურად ვერ ჩაითვლება.

ზოგიერთ ადგილობრივ საფინანსო განყოფილებისათვის სრულიად ახალი აღმოჩნდა ის დებულება, რომ 11 კოლმეურნე არ იხდის თავისი ინდივიდუალური მეურნეობის გადასახადს და კოლმეურნეობის გადასახადის ხვედრ წილს საერთოდ იმაზე მეტი რაოდენობით, ვიდრე მას აქვს გადახდილი გასულ წელს, კოლმეურნეობაში შესვლამდე, ან კიდევ ის, რომ „საშუალო გლეხმა, რომელსაც ამ წელშიაც ისეთივე დასაბეგრავი ობიექტები აქვს, როგორიც წარსულში ჰქონდა, არ შეიძლება გადაიხადოს, როგორც წესი, 15 პროცენტზე მეტი წარსულ წელთან შედარებით".

ახალციხის სამაზრო საფინანსო განყოფილებამ, როცა კულაკური მეურნეობის გადასახადს ანგარიშობდა, შუამდგომლობა აღძრა აღმასკომის წინაშე, რათა არ დაებეგრათ კულაკების ისეთი შემოსავალი, როგორისათვისაც არ იხდიან გადასახადს საშუალო გლეხები (ახალგაზრდა ნამრავლის გაყიდვისაგან აღებული ფული, მეფუტკრეობისაგან და სხ.) აღმასკომმა „შეიწყნარა" ასეთი შუამდგომლობა, მაგრამ პროკურატურისა და საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ჩარევით შეცდომა გამოსწორებულ იქნა.

ასეთივე მაგალითი შეგვეძლო მოგვეყვანა თბილისის ოლქის პრაქტიკიდანაც, სადაც კულაკურ მეურნეობებს, რომელთა განკარგულებაშიაც ასობით მსხვილი და წვრილრქოსანი საქონელი მოიპოვებოდა— არ ბეგრავდნენ გადასახადით ახალგაზრდა ნამრავლის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლისათვის.

უეჭველია ის, რომ საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქტაჟის უმოქმედობის გამო ადგილობრივი საფინანსო ორგანოები დაზღვეული არ არიან შემდგომ შეცდომებისაგან.

სოფლის მთელი ყურადღება ამჟამად შეჩერებულ უნდა იქნას საგადასახადო კამპანიის კლასობრივი ბუნების გამოაშკარავებაზე. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარებაში, მხოლოდ კოლმეურნეების, მოჯამაგირეებისა და ღარიბი, საშუალო გლეხების ჩაბმის საშუალებით იქნება შესაძლებელი შეცდომების და ცალკე გადახვევათა აცილება.

ლ. ფილიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დარაიონება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სს რ სახ. კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ზოგიერთი რაიონის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ოლქების გაუქმებასთან დაკავშირებით და ხელისუფლების სარაიონო ორგანოების განმტკიცების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

გაუქმებულ იქნეს ტფილისის (საგარეთუბნო) რაიონი და ამ რაიონში წინად შემავალი ადმინისტრატიულ - ტერიტორიალური ერთეულები, რომელნიც აერთიანებდნენ:

ა) ავჭალისა, დიღომისა, თელეთისა, წყნეთისა და კოჯრის სასოფლო საბჭოებს; მოქცეულ იქნეს ისინი თბ. საქალ. საბჭ. მიერ გაერთიანებულ და მის ქვემდებარე ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულებში;

ბ) ნაზარლოს, ყარაიას და ალთალის სასოფლო საბჭოების მიერ გაერთიანებული ერთეულები მოქცეულ იქნეს ბორჩალოს რაიონში;

გ) ნორიოს და მარტყოფის სასოფლო საბჭოების მიერ გაერთიანებული ერთეულები — გარე-კახეთის რაიონში;

დ) კოდის სასოფლო-საბჭოს მიერ გაერთიანებული ერთეულები — მანგლისი - ალბულაღის რაიონში;

2. მანგლისის და ალბულაღის რაიონები გაერთიანებულ იქნეს ერთ რაიონად მანგლის-ალბულაღის რაიონად — ცენტრი სოფ. ალბულაღში.

შენიშვნა: სოფ. მანგლისის საკურორტო ზონა გამოიყოფა მანგლის - ალბულაღის რაიონებიდან და გადაიცემა თბილისის საქალაქო საბჭოს გამგებლობაში.

3) გაუქმდეს აწყურის რაიონი და იგი მოქცეულ იქნეს ახალციხის რაიონის შედგენილობაში გარდა იმ ადმინისტრატიულ - ტერიტორიალური ერთეულისა, რომელსაც აერთიანებს ტაძრისის სასოფლო საბჭო და აღნიშნული ერთეული მიეკუთვნოს ბორჯომის რაიონის შედგენილობას.

4. გაუქმდეს საჩხერის რაიონი და იგი მოქცეულ იქნეს ჭიათურის რაიონში.

II.

1. ვიდრე საბჭოების ახალი არჩევნები მოხდებოდეს, გაუქმებული აწყურის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრი გადარიცხულ იქნეს ახალციხის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში, ხოლო გაუქმებული საჩხერის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრი ჭიათურის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში.

მანგლის-ალბულაღის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში გადარიცხულ იქნენ გაერთიანებული მანგლისისა და ალბულაღის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წევრები.

2. 1930 წლ. სექტემბრის 1-მდე მოხდეს მანგლის-ალბულაღისა, ახალციხისა და ჭიათურის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების არჩევნები.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პლენუმებს, ამა დადგენილების მე-2 განყოფილების 1-ლ მუხლში განსაზღვრული შედგენილობით, მოიწვევენ პრეზიდიუმების ასარჩევად და რეფორმასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განსახილველად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების ძველი შედგენილობანი.

3. ამა დადგენილების შეფარდებიდან გამომდინარე დირექტივებსა და განმარტებებს იძლევიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის აგვისტოს 6-ის დადგენილებით ოლქების სალიკვიდაციოთ მოწყობილი განსაკუთრებული კომისიები, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული ცენტრალური კომისიის საერთო დირექტივების მიხედვით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოად. გ. მგალობლიშვილი.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. ალმ. თ. ჟღენტი.
1930 წ. აგვისტოს 16
თბილისი-სასახლე

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1930 წ. აგვისტოს 15-დან თბილისისა, კახეთისა, ქუთაისისა და გორის ოლქებისა და სენაკის მაზრის ლიკვიდაციისა და რესპუბლიკის ამ ნაწილში ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებსა და სარაიონო ორგანოებს შორის უშუალო კავშირის დამყარების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. 1930 წლის აგვისტოს 15-დან თბილისისა, კახეთისა, ქუთაისისა და გორის ოლქები და სენაკის მაზრა ცნობილ იქნეს ლიკვიდაციაქმნილად და იმავე რიცხვებიდან მოისპოს სათანადო საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მოქმედება.

2. წინადადება მიეცეს ყველა ცენტრალურ დაწესებულებასა და ორგანიზაციას და ყველა იმ რაიონის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც შედიოდა ზემოაღნიშნული გაუქმებული ოლქებისა და მაზრის შედგენილობაში, დაამყარონ 1930 წ. აგვისტოს 15-დან ურთიერთ შორის უშუალო კავშირი.

შენიშვნა: ყოველგვარ მიწერ-მოწერას პრინციპიალური საკითხების გამო სარაიონო ორგანოებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს შორის როგორც ცენ., ისე სარაიონო ორგანოები გაუგზავნიან ასლის სახით განსაკუთრებულ კომისიებს, რომელნიც დაარსებულ არიან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 6-ის დადგენილებით ოლქებისა და მაზრების სალიკვიდაციოდ.

3. გაუქმებული საოლქო ორგანოების საქმეებისა და ქონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს გადასწყვეტენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. აგვისტოს 6-ის დადგენილებით ოლქებისა და მაზრების სალიკვიდაციოდ დაარსებული სათანადო კომისიები.

საოლქო ორგანოების ის დაუმთავრებელი საქმეები, რაც ცალკეულ რაიონებს არ ეხება, უნდა გადაეცეს საუწყებო ქვემდებარეობის მიხედვით, საქართველოს სსრ-ის სათანადო ცენტრალურ დაწესებულებათ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.
საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოად. გ. მგალობლიშვილი.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. ალმ. თ. ჟღენტი.
1930 წ. აგვისტოს 16.
თბილისი-სასახლე

დაწინაურებულ მუშების თათბირი

დამთავრდა თბილისის ალმასკომის აპარატში დაწინაურებულ მუშების თათბირი. თათბირის მიზანი იყო გამორკვევა იმისა, თუ რა პირობებში უხდებათ მუშაობა დაწინაურებულებს, როგორ ხელმძღვანელობას და დახმარებას უწევენ მათ აპარატში მომუშავე სამეურნეო მუშაკები და პარტიულ - პროფესიონალური ორგანიზაციები, როგორია დაწინაურებულთა მონაწილეობა აპარატის რაციონალიზაციის საქმეში, რამდენად შეუწყო ხელი დაწინაურებამ აპარატის გაჯანსაღებას და სხვა.

მაგრამ ვერც ერთი ეს მომენტი (ზოგიერთი გამონაკლისით) ვერ იქნა სათანადოთ გამორკვეული თათბირზე.

დაწინაურებულებმა არაფერი არ სთქვეს იმის შესახებ, თუ რა პირობებში უხდებათ მათ მუშაობა. კამათიდან კი გამოირკვა, რომ დაწინაურებულთა შორის მუშაობის მხრივ თბილისის ალმასკომში ყველაფერი რიგზე ვერ არის. გამოირკვა, რომ დაწინაურებულნი მოკლებულნი არიან პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების ყურადღება - ხელმძღვანელობას, ზოგიერთ განყოფილებებში დაწინაურებულთა ირგვლივ იქმნება არა ჯანსაღი ატმოსფერა და ისინი იძულებულნი არიან იქიდან გაიქცნენ, დაწინაურებულებს ხშირად გადაჰყავთ ერთი თანამდებობიდან მეორეზე, რაც ხელს უშლის მათი ცოდნის გაღრმავებას, დაწინაურებული — პარტიულები ირიცხებიან სხვა უჯრედებში, იქ იღებენ საზოგადოებრივ დატვირთვას და ამის გამო ვერც ალმასკომის აპარატს იცნობიან და არც რაიმე საზოგადოებრივ სამუშაოებს ასრულებენ აქ.

დაწინაურებულთა შორის მუშაობის დახასიათების მხრივ მეტად დამახასიათებელი იყო ამხ. შ. კილურაძის გამოსვლა. მან განაცხადა, რომ ალმასკომში მომუშავე სპეცებს შორის უსათუოდ არსებობს არასასურველი განწყობილება დაწინაურებულებისადმი. ისინი ხშირად იტყვიან ხოლმე „რა უნდა გააკეთოს მუშამ ამა და ამ თანამდებობაზე“-ო. დაწინაურებულებს დახმარებას არ უწევენ. მათ დიდის რევერანსებით ხვდებიან, ხოლო როცა საქმე ხელმძღვანელობაზე და დახმარებაზე მიდგება, მაშინ განზე დგებიან.

თათბირზე ყველამ ერთხმად აღიარა ასეთი თათბირების დიდი მნიშვნელობა.

ქრონიკა

ტომრების შეგროვების ახალი ერთთვიური

ვინაიდან ამასწინად ჩატარებულ ერთთვიურში საბჭოთა საზოგადოებრიობა სუსტად იყო ჩაბმული და ტომრების შეგროვების გეგმა ვერ შესრულდა, საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებით 20 აგვისტოდან ამიერ-კავკასიაში ტარდება ტომრების შეგროვების ახალი ერთთვიური. ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა განკარგულება გასცა, რათა სასტიკი ზომები იქნეს მიღებული, რომ ა.-კ. ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა აუცილებლად დაფარონ თავიანთი დავალიანება „სოიუზხლებ“-ის წინაშე.

საკვებ ბალახების თესლის დამზადების გეგმა

ამიერ - კავკასიაში საკვებ ბალახის თესლის დამზადების მინიმალურ გეგმით გათვალისწინებულია 11.000 ცენტნერი თესლის დამზადება. აქედან აზერბეიჯანში უნდა დამზადდეს 2.000 ცენტნერი, სომხეთში —1.400 ცენტნერი და საქართველოში 7.600 ცენტნერი (ალ).

ახალი ტრესტები

თბილისის ალმასკომის დადგენილებით კომუნალურ განყოფილების გამგებლობაში არსებული მთავარი წარმოებები გამოყოფილი იქნა ცალკე ტრესტებათ. ტრესტები ოქტომბრიდან გადაყვანილნი იქნებიან მტკიცე სამეურნეო ბიუჯეტზე. სულ ეწყობა 5 ტრესტი. თბილისის ელექტრო-მოწყობილობათა ტრესტი (განათება), თბილისის ელექტრო-რკინისგზების ტრესტი (ტრესტში გაერთიანებული იქნება ტრამვაი, ფუნიკულიორი და კოჯრის ელრკინიგზა), თბ. აბანოების ტრესტი, წყალსადინის და კანალიზაციის ტრესტი და კომსახლების ტრესტი.

მებაღეობა-მებოსტნეობის ახალი საბჭოთა მეურნეობები

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ამიერ-კავკასიაში მოეწყობა მებაღეობა-მებოსტნეობის ოთხი ახალ საბჭოთა მეურნეობა. სარდარაბადში (სომხეთი) მოეწყობა მებოსტნეობის მეურნეობა, იანეთში (საქართველო) —მებოსტნეობის მეურნეობა— სათბურებით, ქობულეთის რაიონში ერთი მანდარინის და მეორე მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობათა მოწყობაზე დაიხარჯება დაახლოვებით 700.000 მანეთი.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქ. თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს, რომ ორშაბათს, 18 აგვისტოს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ჩატარებული იქნება „გასამხედროების დღე“ და ამის გამო 17 საათიდან იწარმოებს სროლა ზარბაზნებიდან და ტყვიამფრქვევებიდან.

ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა კოლექტივებში

თბ. ალმასკომმა ოლქში არსებულ კოლექტივებს გადაუგზავნა ხანძრის საწინააღმდეგო იარაღები. გარდა ამისა თბ. სახანძრო რაზმის სამმართველოს დაევალა შექმნას კოლექტივებთან ხანძრის საწინააღმდეგო რაზმები კოლექტივის წევრებისაგან.

ხილის გამანადგურებელი ჩიტები

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში მიღებული ცნობებით, ახალციხეში გაჩნდა გრძელ და მაგარ ნისკარტიანი ფრინველების გუნდები, რომლებიც კალიასავით მოედვენ ხეხილის ბაღებს. ჩიტები აპობენ ნაყოფს და სჭამენ ნაყოფის კაკლებს. ჩიტებმა უკვე გააფუჭეს ხეხილის ბაღების 8 პროცენტი. განსაკუთრებით დაზიანებულია ვაშლისა და მსხალის ბაღები. ადგილობრივ ორგანოების თაოსნობით მოეწყო მონადირეთა ბრიგადები ჩიტების დასახოცათ.

თბ ალმასკომში

— **კამოს სახ. საქარხნო -საფაბრიკო სკოლის** მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ალმასკომმა გადასდო 5.000 მან.

— **ძველ ბოლშევიკთა საზ-ბას** დახმარების სახით მიეცა 5000 მან. ამ თანხით შეკეთებული იქნება ქობულეთში არსებულ საზ-ბის სახლები.

— **მაუდის ფაბრიკის მუშათა სახლის** ასაგებათ ალმასკომმა გადასდო 120.000 მანეთი.

ჟურნ. „დროშა“ № 15 (39)

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „დროშა“ № 15 (39). ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: **ტიციან ტაბიძე**— სუბტროპიკული პოემა—„ახალი კოლხიდა“, **ე. გორელი**—წითელი მებრძოლნი ბანაკად, ოლიმპიადის შედეგები (მოსკოვის პრესის მიმოხილვა რუსთაველის თეატრის შესახებ), **ი. ციციშვილი**—მოძრავი თეატრი სოფლად, **ედ. შმერლინგი**—რამის პლანტაციებზე, **ლი**—იშვიათი იუბილე, **დემიან ბედნი**—ფლიდები (ლექსი), **გ. ნოჟუმიძე**—სერია ციკლიდან „ახალი აჭარისტანი), ქრონიკა სურათებში, ფოტოქრონიკა, ფიზკულტურა და სპორტი და სხ.

რკინის გზაზე

თბილისის სადგურში მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოძიება

გუშინ გრძელდებოდა კომისიის სხდომა. დაჰკითხეს: **ვაშაკიძე** (მემანქანე იმ ორთქლმავლისა, რომელსაც დაეჯახა მატ. № 1324), უფროსი მეისრე **ჯიოშვილი** და მეისრეები **თათარაშვილი** და **წიქორიძე**.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ სადგურის მორიგე ბარამიძეს გაეცია, განკარგულება მატ. № 1324 მიეღოთ მეოთხე ხაზზე. მეისრე წიქარიძეს გაუღია სემაფორი. შემდეგ კვლავ მიუღია განკარგულება სემაფორი დაეკეტა, რადგან მე-6 ხაზზე მოდიოდა მატარებელი ავჭალიდან, მატ. № 1324 კი უნდა მიეღოთ მე-11 ხაზზე. ჯიოშვილი ამბობს, რომ წიქორიძემ, რომელიც შემოსასვლელში იდგა ვერ მოასწრო ისარის მე-11 ხაზზე გადაყვანა, მატარებელი უკვე შემოვიდა ისრებზე; თვით წიქორიძე კი აცხადებს, რომ ისარის გადაყვანა მას არ შეეძლო, რადგან მე-11 ხაზი დაკავებული იყო დამტვირთული ვაგონებით.

მესამე და მეხუთე ხაზების ისრებს მართავდა თათარაშვილი. მან გაუშვა ვაშაკიძის ორთქლმავალი მესამე ხაზზე, შემდეგ ისარი გადაიყვანა მეხუთე ხაზზე და როდესაც მატ. № 1324 დაიძრა, ისარი კვლავ მესამე ხაზისკენ გადასწია.

შეკითხვაზე, თუ რატომ მოიქცა ასე— განაცხადა, — დავიბენი. მეგონა, რომ მეხუთე ხაზი დაკავებული იყო.

მეისრე წიქორიძე აცხადებს, რომ მან დაინახა, თუ როგორ გადმოხტა მატ. № 1342-დან ორი კონდუქტორი, და როდესაც მატარებელი გაჩერდა ისინი კვლავ შევიდნენ ვაგონებზე და დაიწყეს მუხრუჭებს მოჭერა. ამ კონდუქტორების ვინაობა ირკვევა.

კომისიის მუშაობა გრძელდება.

ხელოვნება

ქართულ მუსიკის კონცერტი პარიზში

საქართველოს სამუსიკო მუზეუმმა მიიღო პროგრამა იმ კონცერტისა, რომელიც პარიზში შოპენის დარბაზში გაიმართა და რომელიც მიძღვნილი იყო ქართულ მუსიკისადმი.

კონცერტზე შესრულებულ იქნა ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ი. ორბელიანის, თ. შავერზაშვილის, მ. ბალანჩივაძის და ი. თაქთაქიშვილის ნაწარმოებები.

ვოკალური ნაწარმოებები შეასრულა ნანობაშვილმა, საფორტეპიანო კი პიანისტმა ალექსანდრე ლაზინსკიმ.

კონცერტზე თავისი ნაწარმოები შეასრულა ახალგაზრდა პიანისტმა ი. ორბელიანმა.

კონცერტმა დიდი ინტერესი გამოიწვია თანამედროვე ქართულ მუსიკისა და საბჭოთა კომპოზიტორებისადმი.

შემთხვევები

◆ **დაპატიმრება.** ქურდობისათვის დააპატიმრეს ვლადიმერ ადუაშვილი (შრომის ქუჩა № 39) და არონ აბრამიძე (სამღებროს ჩიხი № 5).

